

140/3
1960

პიონერი 2

3744363
21960



ჩვენი საბჭოთა არმია

ირაკლი აბაშიძე

არ გაიხაროს მტრის გულმა,
არც არა გაუხარია;
მშვიდობის დროშას დარაჯობს
ჩვენი საბჭოთა არმია.

მარჯვედ უპყრია მახვილი,
მარჯვედაც მოუხმარია;
საბჭოთა ქვეყნის ლაშქარი—
ჩვენი ძლიერი არმია.

მამულს უდგანან გმირები,
მხრებზე მიუდევთ მხარია;
მოდმე ერების სიმტკიცე—
ჩვენი საბჭოთა არმია.

მტერთაგან ჩვენი საზღვრები
მას მკერდით დაუფარია;
სიმაგრე გაუტეხელი—
ჩვენი საბჭოთა არმია.

არ გაიხაროს მტრის გულმა,
არც არა გაუხარია;
მშვიდობის დროშას დარაჯობს
ჩვენი საბჭოთა არმია.



პ ი თ ნ ე რ ი



საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელმწიფოს
პიონერთა ორგანიზაციის
კმპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი



თებერვალი
1960

გამოცემის წელი
XXXIV

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,
რ. ელანიძე, მ. ლეხანიძე (პ/მგ. მდივანი),
შარდია, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი
(სამხატვრო რედაქტორი).

საქართველოს სსრ საბავშვო და
ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

შინაარსი

ი. აბაშიძე—ჩვენი საბჭოთა არმია (ლექსი) გარეკ.	2
ჩვენ მშვიდობას ვემხრობით არა სიტყვით, არამედ საქმით (წერილი)	2
ი. ბეროშვილი—ყუღია (მოთხრობა)	4
ხ. ბერულავა—საუბარი შვილთან (ლექსები)	10
რ. პერკინა—საფეხურიდან საფეხურზე (ნარკვევი)	11
დევიდ ბევიტსონი—ლილისფერი ნაჭერი (მოთხრობა. თარგმნა შ. ლოლობერიძემ)	14
ს. შამფრანი—განუყრელი მეგობარი (ნარკვევი)	17
თ. გიორგაძე—პრეტენდენტი (წერილი)	19
ს. ეული-ქურიძე—პირველი დღე (მოგონება)	20
ლ. საღარაძე—მარსას რესპუბლიკა (წერილი)	22
შ. ლარცულიანი, ზ. ლეშაშელი—ყველა გზა რომისაკენ მიდის (წერილი)	24
არაბული არაკები	26
გ. ბახილია—დენი მოდის (წერილი)	28
რატომ ვამბობთ ასე?	29
გრ. ზარდალიშვილი—ბარრის სამშობლო (წერილი)	29
ბუნების კარი	30
სიჩქარის კოლოფის მოდელი (ბელმარჯვეთა დასახმარებლად)	31
იცით თუ არა შენ?	31
მოკლედ ყველაფერზე	32
თავისუფალ დროს გარეკ.	3
გარეკანის პირველ გვერდზე—„კვლავ შინისაკენ“ ნახ. ა. ბანძელაძისა, გარეკანის მეორე გვერდზე— „სამშობლოს სადარაჯოზე“—ნახ. რ. ცუცქერიძისა; გარეკანის მეოთხე გვერდზე—იუმორი.	
ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, ნ. შალიკაშვილის, ე. ამბოკაძისა და დ. ხანუტაშვილის მიერ.	





ქართული
წიგნების
კავშირი

**მევიღობას
ვემხრობით
არა სიფყვიით,
არაპედ
საქმით!**



ნ. ს. ხრუშჩოვი ტრიბუნაზე

სსრ კავშირი 1.200.000 კაცით ამცირებს არმიას

ამა წლის 14 იანვარს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. კრემლის დიდ დარბაზში თავი მოიყარეს დეპუტატებმა. დილის 11 საათია. ტრიბუნაზე აღის ამხანაგი ხრუშჩოვი. იგი გამოდის მოხსენებით „განთავსება მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა მეგობრობის უზრუნველყოფის გზა“.

ნიკიტა ხრუშჩოვი-ქმ კომუნიზმის მშენებლობის დიად გამარჯვებულად წელი უწოდა 1959 წელს. საბჭოთა ადამიანები თავიანთი გმირული შრომით აგებენ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებს, ამოქმედებენ მძლავრ ტექნიკას, იღებენ ქვანახშირსა და ნავთობს, აღნობენ ფოლადს, ჰქმნიან მშვენიერ მანქანებს, მოჭყავთ უხვი მოსავალი, ახალ გზებს ხსნიან მეცნიერებასა და ტექნიკაში. 13 მილიონზე მეტი მუშა და მოხამსა-

ხურე უკვე გადასულია შემოკლებულ სამუშაო დღეზე. ჩვენს ხალხს სამართლიანად შეუძლია იამაყოს მძლავრი სამშობლოთი, დიადი ლენინური პარტიით.

1959 წელი ჩვენი საგარეო პოლიტიკის ახალი წარმატებების წელიც იყო. გაუმჯობესდა საერთაშორისო ვითარება. სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის დაძაბულობა თანდათან ნელდება. „ცივი ომის“ მომხრეები მარცხს განიცდიან. ახლანახან საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეთანხმდნენ, რომ მთავრობათა მეთაურები 16 მაისს შეხვდებიან ერთმანეთს პარიზში. მსოფლიოს ხალხები მოუთმენლად ელიან თათბირს უმაღლეს დონეზე.

მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჭერ კიდევ არიან გავლენიანი ადამიანები, რომელნიც მოითხო-

ვენ შეიარაღების გაძლიერებას, „ცივი ომის“ განგრძობას. ამას წინათ ამერიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ განაგრძობენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას. ამ ცნობამ დიდი შეშფოთება გამოიწვია მთელ დედამიწაზე.

გასული წლის სექტემბერში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოაყენა საყოველთაო და სრული განთავსების პროექტი. საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა ყველა ქვეყანას დაშალონ არმიები, მოსპონ ყოველგვარი სახის შეიარაღება, გააუქმონ სამხედრო სამსახური. საბჭოთა მშვიდობიან წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი ყველა ხალხმა.

ჩვენმა ქვეყანამ არა მარტო სიტყვით, საქმითაც დაამტკიცა, რომ იგი განთავსებისაკენ მიის-

წრაფვის. ჩვენ უკვე შევამცირეთ ჩვენი არმია 2 მილიონი 140 ათასი კაცით. უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე კი ამხანაგმა ხრუშჩოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით წინადადება წამოაყენა შემცირდეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები კიდევ 1 მილიონ 200 ათასი კაცით.

ჩვენ ყველას მხურვალედ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და, უწინარეს ყოვლისა, მის უშიშროებაზე ვზრუნავთ. ამიტომ ყოველ საბჭოთა მოქალაქეს აღედგროს კითხვა: საკმარისი იქნება თუ არა სსრ კავშირის თავდაცვითი სიმძლავრე, ასე ძალიან რომ შევამციროთ ჩვენი არმია?

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დაწვრილებით და ყოველმხრივ შეისწავლეს ეს საკითხი და უყოყმანოდ გვიპასუხებენ: ჩვენი თავდაცვა სავსებით საკმარისი იქნება.

რაზეა დამყარებული ეს რწმენა? იმაზე, რომ ახლა სსრ კავშირი მთელი სახალხო მეურნეობის მჩქეფარე განვითარების პერიოდს განიცდის. მთელი ჩვენი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული თავისი კომუნისტური პარტიისა და მშობლიური მთავრობის ირგვლივ. ჩვენ საიმედო და ძლიერი მეგობრები გვყავს სოციალისტური ქვეყნების სახით. ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და მუშებმა საბჭოთა არმია ყველაზე თანამედროვე სახეობის შეიარაღებით აღჭურვეს, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უჩანასკნელ სიტყვას შეესაბამება. ასე რომ ექვს ვერ შევიტანთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერებაში!

საბჭოთა კავშირმა, თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, საჭირო რაოდენობით დააგროვა ატომური და წყალბადის იარაღი. და სანამ მიღწეული არ არის შეთანხმება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, იძულებული ვართ განვაგრძოთ მისი წარმოება.

ჩვენი შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვნად უკვე გადაყვანილია რაკეტულ-ატომურ იარაღზე. ეს იარაღი სულ უფრო და უფრო უმჯობესდება და კვლავ გაუმჯო-

ბესდება, სანამ არ იქნება აკრძალული.

უწინ თავდაცვისუნარიანობას იმით განსაზღვრავდნენ, თუ რამდენი ჯარისკაცი იყო ამა თუ იმ ქვეყანაში თოფქვეშ, რამდენ ადამიანს ეცვა ჯარისკაცის ფარაჯა. ახლა კი ამაზე იმის მიხედვით მსჯელობენ, თუ როგორია მათი სახელმწიფოს ცეცხლოვანი სიმძლავრე.

სსრ კავშირის ცეცხლოვანი სიმძლავრეზე კი ნიკიტა ხრუშჩოვი ასე თქვა: „...ჩვენ უკვე გვაქვს იმდენი ატომბულის იარაღი — ატომური და წყალბადისა და შესაბამისად რაკეტები ამ იარაღის მისატანად შესაძლო აგრესორის ტერიტორიაზე, რომ თუ რომელიმე უგუნური გამოიწვევს თავდასხმას ჩვენს სახელმწიფოზე ან სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებზე, ჩვენ შევძლებთ ქვეყანა ან ქვეყნები, რომლებიც თავს დაგვესხმიან, პირდაპირ აღვგავოთ პირისაგან მიწისა“.

ასე რომ საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდებულნი და გულდაჭერებულნი იყვნენ.

მაგრამ იქნებ ვერაგობა გამოიჩინონ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა — მოულოდნელად დაგვესხან თავს და ამით უპირატესობა მოიპოვონ.

ვთქვათ, რომელიმე სახელმწიფომ მოახერხა, მოულოდნელი თავდასხმა მოახდინა ჩვენს ქვეყანაზე და ახალი მსოფლიო ომი გააჩაღა. მაგრამ განა იგი შესძლებს ერთბაშად გამოიყვანოს მწყობრიდან ატომური იარაღის მთელი ჩვენი რაკეტები? არა! სსრ კავშირი უზარმაზარი ქვეყანაა. ჩვენ ისეთნაირად განვალაგებთ ჩვენს ტერიტორიაზე რაკეტულ ტექნიკას, რომ, თუ მწყობრიდან იქნება გამოყვანილი საპასუხო დარტყმისათვის განკუთვნილი ერთი წუთი ცეცხლოვანი საშუალებანი, ყოველთვის შეგვეძლება სათანადო პოზიციებიდან მოვახვედროთ მტრის მიწებს.

ჩვენ ჩვენს არმიას ვამცირებთ. დასაღღითის სახელმწიფოები თუ თანახმანი არ იქნებიან მიზნად ჩვენს მაგალითს, ამით ისინი უფრო მეტად გამოამჟღავნებენ თავიანთ ნამდვილ სახეს ხალხის მასების თვალში. შეიარაღების გაძლიერება გადასახადების კვლავ გადიდებას გამოიწვევს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო მძიმე შეიქმნება უბრალო ადამიანის ცხოვრება.

ჩვენც გავიღებთ თავდაცვისათვის საჭირო სახსრებს, სანამ არ მოხერხდება დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. მაგრამ თუ ჩვენი არმია შემცირდება, ხარჯიც ნაკლები იქნება. შეიარაღებული ძალების 1 მილიონ 200 ათასი კაცით შემცირება დაახლოებით 16-17 მილიარდი მანეთის ეკონომიას მოგვცემს წელიწადში. შესაძლებელი გახდება ეს ფული მოვახმაროთ სახალხო მეურნეობის განვითარებას, იმას, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრება.

საბჭოთა კავშირი იმიტომ კი არ ამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს, რომ ფული არა გვეყოფნის, როგორც წერს დასავლეთის ზოგიერთი გაზეთი. არა, თანხები საკმარისად მოგვეპოვება. მაგრამ ჩვენ ომი არ გვინდა და არც ვაპირებთ თავს დავესხათ ვინმეს, სურვილი არა გვაქვს ვინმეს დავემუქროთ და არც რაიმე დამპყრობლურ მიზნებს ვისახავთ. ჩვენს ქვეყანას უაღრესად მშვიდობიანი განზრახვები აქვს.

ჩვენ მნიშვნელოვნად ვამცირებთ არმიას და კვლავ და კვლავ ვაცხადებთ, რომ ომი არ გვესაჭიროება, რომ საბჭოთა ხალხი კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ადრე თუ გვიან ყველა ხალხი თვითონ მიადგინებს კომუნიზმს. კომუნიზმის იდეებს ვერავითარი ხიშტები და ცინებები, ვერავითარი ძალმომრეობა ვერ შეაკავებს, ვერავითარი სახელმწიფო საზღვრები ვერ დააკავებენ. საბჭოთა კავშირი განუხრელად მიემართება კომუნისტური საზოგადოების აგების გზით და კვლავაც მტკიცედ დაიცავს ხალხთა შორის მშვიდობის დიად საქმეს.



ილო პეროპინილი

მოთხრობა

ნახ. კ. მახარაძისა

ზოგჯერ შემთხვევით შერქმეული მეტსახელი ისე შესისხლხორცება კაცს, რომ ნამდვილ სახელს დაუჩრდილავს ხოლმე. ყოფილა შემთხვევები, როცა გვარის უფლებაც მოუპოვებია. ასე დაემართა რევაზ რაინაულსაც. მისი ნამდვილი გვარ-სახელი აღარავის ანსოვს და დიდპატარა ყუდიას ეძახის... მის ერთადერთ ვაჟსაც—ქავთარეს, ვიდრე ომში დაიკარგებოდა, ყუდიასძედ იხსენიებდნენ მთელ თუშეთში. პაპის ზედმეტმა სახელმა შეიღვივებინა უწია და, ლეოს, რომელმაც წელს დაამთავრა შეიდი კლასი, პაპის კბილა მოხუცები „პატარა ყუდიას“ ეძახოდნენ, ხოლო ტოლ-ამხანაგები „ყუდიანთ ლეოს“. ეს ასე იყო, მაგრამ ყველამ როდი იცოდა ყუდია პაპის ზედმეტი სახელის სათავე.

ლეოზე პატარა იყო ყუდია პაპა, როცა ობოლი ყმაწვილი მწყემსად გაამწესეს. პატარა რეზოს ხშირად უხედებოდა ღამით ფარას დარაჯობა... ძილი თავს რომ წაართმევდა, თურმე ჯოხს დაეყრდნობოდა და ასე ჩასთვლემდა, თვალს მოატყუებდა... რამდენჯერ მოასწრეს ამხანაგებმა: პატარა მწყემსს ღამე ჯოხზე დაყრდნობილს ანუ დაყუდებულს ჩასძინებოდა... მაშინ შემთხვევით წასძახეს: „შე ყუდიავ, შენაო“. ეს თქმა იყო და, პატარა რეზოსათვის ნამდვილი სახელი აღარავის დაუძახია. მანაც ეს ზედმეტი სახელი ჯერ იუცხოვა, მერე ყური შეაჩვია, შეიფერა, შერჩა და შემდეგ კი მთელი საგვარეულოს მეტსახელად იქცა.

ჯოხზე დაყრდნობილს რომელ მწყემსს არ ჩასძინებია, მაგრამ ყუდია პაპამ, თითქოს თავისი მეტსახელის გამართლება სურსო, ახლაც ხშირად იცოდა ფეხზე მდგომმა ძილი. ღამე გავიდოდა თეოზე, წამოისასამდა ბურძღლიან ნაბადს, დაეყრდნობოდა ჯოხს მხარით და ისეთ ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე, რომ, ალბათ, ზოგიერთი კაცი რბილ სარეცელშიც ვერ დაიძინებდა ისე ტკბილად.

* * *

ლეო მთელი ზამთარი ჭირკოდილაობდა... ავადმყოფობის გამო ხშირად უცდებოდა გაკვეთილები, მაინც ბეჯითობდა... რადგან ფიზიკურად სუსტდებოდა, საგაზაფხულო გამოცდებიდან გაათავისუფლეს. ექიმმა კი ღელამის ურჩია სადმე ბავშვთა სანატორიუმში გაეგზავნა და ერთი წლით დაესვენებინა ყმაწვილი.

ლეოს სანატორიუმის ვაგონებაც არ სურდა. ამაო გამოდგა ექიმის რჩევა, მასწავლებლების შეგონება, დედის მუდარა...

„მე პაპასთან უნდა წავიდე მთაშიო“,—მარტო ამას გაიძახოდა.

...დადგა ნანატრი ზაფხულიც. ცხვრის ფარები დაიძრა საზამთრო საძოვრებიდან და მთების კალთებს შეეფინა.

ლეო ყოველ ცისმარე დღეს ნაქერლის მთაზე გადამაგალ ბილიკთან იჯდა და პაპას ელოდა. მთისკენ მიმავალი ცხვრის ფარები მდინარის ტალღებივით მიქანობდნენ... ფარა ფარას მიჰყვებოდა, ჯოგი—ჯოგს, მაგრამ ყუდია პაპა და მისი ფარა ჯერ არ ჩანდნენ.

ერთ საღამოს, როცა ლოდინით გულგატეხილი ყმაწვილი შინ დაბრუნდა, შორიდანვე დაინახა სახლის სვეტზე საბლით გამობმული შევარდენა. ლეო თავქუდმოგლეჯილი გაიქცა—მიხვდა, რომ პაპა მოსულიყო.

შევარდენას თან ლურჯხალებიანი კვიციც მოჰყოლოდა... ლეოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, კვიცს აქეთ-იქიდან ურბენდა, უნდოდა მოხვევოდა, მოფერებოდა; ის კი ფრთხებოდა, დედას გარშემო ურბენდა, ფეხებში უძვრებოდა. ლეო მაინც არ მოეშვა, და იმდენ ხანს სდია, სანამ მოღერებულ გრძელ კისერზე ორივე ხელი არ შემოხვია.

— კაცი „აჯილღებს“ იჭერს და თქვენ კი იძახით, ავად არისო! — გადმოიძახა აივანზე გამოსულმა ყუდია პაპამ, როცა დაინახა კვიცის ყელზე ხელემშემოკლებილი შვილიშვილი.

— ავად კია, მაგრამ, რომ არ სჯერა, რომ არ გვიგონებს? — შესჩვილა ლეოს დედამ მამამთილს. — სანატორიუმში არ წავიდა... შენ გელოდებოდი, ეგებ შეასმინო რამე. საგზურს არიან შეპირებულნი და ეს კი იძახის, არ წავალო.

— თუ სუფთა ჰაერია საჭირო, მაგის განკურნება ჩემზე იყოს!

— რას ამბობ, მამამთილო, ავადმყოფ ბავშვს მწყემსური ცხოვრება რას გამოადგება! სად გიღამდებათ, სად გითენდებათ, თქვენც არ იცით. ხან დარში ხართ და ხან ავდარში; ბავშვი რომ გამოცივდეს, ხომ დავილუპები.

— სწორედ ეს არის კარგი ადამიანის საწრთობად, რომ ხან დარში იქნება და ხან ავდარში. თუ ახლავე ფუთვნა დაუწყეთ, უფრო დავასნეულებთ. გარეთ გასული კაცი ქვაზე მაგარიო. აი, მე ვარ ასე გაზრდილი და ჯერ ავადმყოფობა რა არის, არ ვიცი. ეგ ბაღლიც ჩემი გვარ-ჯიშის არაა? მაგას რალა დაემართა!

ლეო ყურს უვდებდა ამ საუბარს და ძლიერ გაახარა პაპას ნათქვამმა.

— შენ რალას იტყვი, ლეო, შენ სად გირჩენია?

— შენთან, პაპა, შენთან. მე არა ვარ ისე ავად. ისე კი არა, სულაც არა ვარ ავად. პურს არა ჭამო, მეუბნებიან... ოღონდ მთაში წამიყვანე და, რასაც მომიტან, ყველაფერს შეეჭამ.

— ძალიან კარგი. მაშ ამ ორ დღეში მოემზადე და მერე გზას გავუდგეთ.

— მე სულ მზადა ვარ.

— როგორ, მთაში ასე შილითად ხომ არ წამოხვალ? წინდა-ქალამანი გინდა, ნაბადი, თბილი ტყავის ქუდი...

— თოფიც, არა პაპა?— შეეკითხა ლეო და თან კედელზე დაკიდებულ მამისეულ ორლულიანს შეხედა.



— თუ კი სროლა და მოხმარება იცი, ეგეც წამოიღე.

— არა, ბავშვია, თოფს ნუ წაიღებთ, არაფერი ავი არ შეემთხვეს!— შეშინდა დედა.

— რა უნდა შემემთხვას, განა პატარა ვარ ისევე.

— მაშ, რას ერჩით ამ ვაჭკაცს. დროა უკვე მამისეული კვლავ გაახშიანოს— როდემდის ეკიდოს კედელზე უქმად!— ამბობდა გაღიმებული ყუდია.— ასე, ჩემო რძალო, ყველაფერს აქედანვე უნდა შევაჩვიოთ: თოფის ხმარებასაც, მწყემსობასაც, სიცხე-სიციფესაც, ჭირსაც და ლბინსაც. კერის პირას გაზრდილი ძაღლიცა და ბაღლიც უნდელი გამოდის.

— ჰო, მაგრამ, საღი რომ არა მყავს, ეგ მაწუხებს, თორემ...

— კაცის ჯანში შეჭრილი სენი ან სიციფემ უნდა გამოიტანოს, ან სიცხემ. განებვიერებულ სხეულში ჭირმაც განებვიერება იცის.

სამი დღის შემდეგ ყუდია პაპამ შევარდენა შეკაზმა, საგზლით პირთამდე სავსე დიდი ჭრელი ხურჯინი გადაჰკიდა, გავაზე ნაბადსახურავი დააკრა, და ზედ ლეო შესვა. თვითონ ცხვრიდანვე მოყოლილი გრძელი ჯოხი აიღო. მალე პაპა და შევილიშვილი სათუშეთო გზაწვრილს შეუყვინნ ნელი, მაგრამ აწყობილი ნაბიჯით.

* * *

— ლეო, ამალამ ჩვენ ფარას ალხაჯი*) უნდა გამოვუცვალოთ,— უთხრა ყუდიამ თავის შვილიშვილს.

— რამ მოგაფიქრა ალხაჯის შეცვლა, პაპა, ან ასე უცებ სად ამოვირჩიოთ სადგომი, მზე უკვე ჩასვლას აპირებს.

ყუდია ხელმოჩრდილებული გასცქეროდა დასავლე-

*) ალხაჯი—ლამით ცხვრის სადგომი.





თის მხარეს და შვილიშვილს თავმოუბრუნებლად გასცა პასუხი:

— რამ მომადიქრა? — აი, იმ ღრუბლის ნაგლეჯმა, — თითი გაიშვირა ბორბალოს მწვერვალისაკენ; მწვერვალს, ყინულით გადალესილ თავზე ნისლები შემოხვეოდნენ, ხოლო ნისლებზე მალლა მოჩანდა შავი ღრუბლის ნაგლეჯი, რომელიც ზანტად იზმორებოდა.

— მერე, ეგ რა არის, პაპა, ასეთი გამოცდილი მეცხვარე მაგ ღრუბლის ფარატინამ როგორ შეგაშინა! რამდენი ხანია, ცას ნამი არ გავარდნია, და შენ გგონია, ამაღამ ეგ ღრუბლის ნაგლეჯი რამეს დაგვაკლებს?

— დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს, შვილო; ახალი მთვარეც არ მომეწონა, ავდრისას ჰგავდა.

— მერე, რა აზრი აქვს ალხაჯის შეცვლას, განა იქ წვიმა არ დაგვასველებს?!

— ჩვენი ალხაჯი ახლა თითქმის მთის მწვერვალზეა. ავდრის დროს ამ მთებში დიდი ქარიშხალი იქცის ხოლმე. ავმა ამინდმა თუ მოგვისწრო, ცხვარ-კაციანად უფსკრულში გადაგვყრის. დასველებას რა უშავს, — არც ცხვარი და არც მეცხვარე მშვიდ წვიმას არასდროს დაუზარალებია. ვაცები ქალისკენ დაქეჩე. ა, იმ გორის ფხას ჩავაყოლოთ ფარა. გორის კუდი რომ წყდება, ერთი კარგი დავაკება, იქ უნდა დავდგეთ ამაღამ.

შვილიშვილი უსიტყვოდ დაემორჩილა პაპას. რქადაგრებილ ვაცებს წამოუბრინა. წინ გაყარა, მერე ერთი ხმამალა დაჰკივლა და თავქვე დააფინა ფარა. რაც უფრო უაზლოვდებოდნენ ქალას, მით უფრო მალღდებოდა ბალაბი. ტიტველი გორა დამთავრდა და აქა-იქ ხეებიც გამოჩნდა. სამყურასა და ვაციწვერას მაგიერ, რომლებითაც იალაღები იყო დაფარული, აქ ხშირი შამბნარი მოსულიყო. გაპარსული თოხლები დიყის, დუცის და შუპყის ფოთლებქვეშ მიძვრებოდნენ, ახალ საბალახოში მოხვედრილნი, გახარებულნი სძოვდნენ.

ამ ძოვნა-ტაატობაში კარგა შებინდდა. ფარამ დანიშნულ ადგილს მიაღწია, მაგრამ ხამ ადგილზე დაყრა ეხამუშებოდა. ბოლოს მოსწყინდათ ფეხზე დგომით ცოხნა და ნელ-ნელა დაეყარნენ დამრეც ტაფობში, რომელსაც ირგვლივ ხშირი ტევრი ერტყა.

საიდანღაც ახლადწამოფრენილი ნიავე წიფლისა და ბოყვის წვერებს ეალერსებოდა. ხრამის პირას აქოჩრილი არყნარი შრიალებდა. მას გაღმითა გორიდან ვერხვები ეხმაურებოდნენ. ხეთა შრიალი, ხევთა ჩხრიალი, ნიავის გაბმული სისინი ბუნების რაღაც, ერთ მთლიან საგალობელს ქმნიდა.

ყუღია გრძელ ფიხებს აგროვებდა და ერთმანეთზე მწყობრად ალაგებდა.

— პაპა, ცეცხლის დანთებას თუ აპირებ, ეგ ფიხები რას გვარგებს, ჩქარა დაიწვება. აი, იმ გადაქცეულ წიფლის ძირას დავანთოთ ცეცხლი.

— ეჰ, შენ ვერ მიმიხვდი, საწოლს გიშაადებ.



პაპა და შვილიშვილი სათუშეთო გზაწვირის შეუდგენ ნელი, მაგრამ აწყობილი ნაბიჯით.



— როგორ თუ საწოლს?! ფიჩხის საწოლი ვის გაუგია, ხომ გვერდები დამელეწა!

— გვერდების დასველებას, ფიჩხის ჩხვლეტა სჯობია, ხომ გითხარი, ავდარი მოვა-თქო. აბა, ახედე ზევით, პატარა ფარატინა ღრუბელმა როგორ დაფარა ცა, სადაცაა კოკისპირული წვიმა წამოვა. შენ ამ ფიჩხებზე დაწექ და ნაბადი დაიხურე. ნაბადს წვიმა ვერ გაატანს, ხოლო ზემოდან მოვარდნილი ღვარი ფიჩხების ქვეშ გაივლის და შენ მშრალი დარჩები.

— ეგ კი არ ვიცოდი. პაპაჩემო, მართლაც ჭკუასთან ახლოა.

— აი, რამდენიმე წინწკალი უკვე დამეცა. ხომ გითხარი, აქ, საკახეთო მთებში, ავდრის ღროს დიდი ქარიშხალი იცის-მეთქი; ხედავ, წელიწადელი ნიავე როგორ აქარიშხლდა? ახლა რომ ძველ ალხაჯზე ვისხდეთ, ჩვენს დაღუპვას კაცი ვერ გაიგებდა. აქ კი ეს ტყე გალავანით გვარტყია. ავდარი ვერაფერს დაგვაკლებს, მაგრამ ნადირი კი ძალიან მოგვეძალებს. ამ ჭალაში დათვი ბინადრობს.

— მორიგეობით ვუყარაულოთ, პაპა!

— შენ დაიძინე. ასეთ ღამეში ყუდია უნდა ჯოხზე ეყუდოს, შენისთანა პირშიშველას მთელი სოფლის დოვლათს ვერ ანდობს.

მართლაც, უწყინარი ნიავე უკვე გრიგალად ქცეულიყო და ასწლოვან ხეებს ეძიძგილაგებოდა. ცას თითქოს უშველებელი. გავარვარებული ხმალი დაჰკრესო, — წუთით ყოველი ბნელი კუთხე-კუნჭული განათდა, ხოლო მერე უფრო ძლიერ ჩამობნელდა. ელვას საზარელი გრგვინვა მოჰყვა, ყოველივე ამას კი — ღვართქაფი. მარად გაულუნავი ხეები გაილუნენ. კლდეს, შეუპოვარ კლდესაც კი, ბევრი დიდი ლოდი მოსწყდა და საღდაც უფსკრულს ჩაინთქა. მთებს ღვარებით მკერდი დაეღარა, და ბევრგან, ცოტა ხნის წინ რომ ყვავილით იყო დაფარული, ახლა უკვე ციკაბო, უსიცოცხლო კლდედ იქცა. ყველაფერს თავი მოახრეგინა სტიქიონმა, გარდა მოხუცი მწყემსი კაცისა, რომელსაც მხრებზე აწვა სამოცდაათი ქარიშხლიანი წელი. მას ნაბადი წამოესხა და შავ ღამეში ლანდივით გარს უვლიდა ბატკნის ფარას, კვილით აფრთხობდა მოძალეებულ ნადირს, საამო სტვენით ამშვიდებდა დამფრთხალ ფარას. ყუდია ყოველი შემოვლის შემდეგ მიდიოდა ფიჩხის კონასთან, რომელზედაც ლეო კურდღლის ბაჭიასავით განაბული იწვა, გადახედავდა მშვიდად და კვლავ ალხაჯს უვლიდა ირგვლივ. ცა გრგვინავდა, დელგმა მატულობდა. ხეებს კენწეროები ელენებოდა კაკლისოდენა სეტყვისაგან. მოხუცი კაცი კი თავს არა ხრიდა, თითქოს არად აგდებდა ისეთ გაცოფებულ ავდარს, როგორიც მართო მთაში იცის ხოლმე.

* * *

— პაპა, დღეს ხომ კარგი დარია, გამიშვი, სანადიროდ წავალ, ნამდვილი სანადირო ამინდია, — შეემუდარა ლეო მეორე დღეს პაპას.

— მართლაც, ნამდვილი სანადირო დღეა ვინც ნადირობა იცის. შენისთანა გამოუცდელს კი ვერაფერს რაფერს უშველის. ნადირობის მადეგარ კაცს ნადირით უნდა უჭრიდეს თვალი და მუხლი, უნდა გეზი იცოდეს. ჯიხვები და არჩევები ველზე კი არ დასეირნობენ, გაუვალ კლდეებში ბინადრობენ.

კლდეში კი არა, მე ყოველდღე ვხედავ ჯიხვებისა და არჩევების ჯოგს ჩვენი ნალხაჯარის ზევით.

— შეიძლება; იციან ხოლმე ცხვრის ნამარილეებზე გამოსვლა და ნარჩენი მარილის ლოკვა.

— ჰოდა. წავალ.

— ტყუილი სიარული შეგრჩება, შვილო. — ნადირთა მეპატრონე დალი შენთვის არჩესა და ჯიხვს არ გაიმეტებს.

ლეო დიდხანს ემუდარა, ეხვეწა პაპას. მოხუცს არ უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

— წადი. ოღონდ, ბევრი არ იარო, მალე დაბრუნდი. დღეს ფარას მეც მაგ მხარეს გამოვშლი.

ლეოს სიხარულით მუხლები აუთამაშდა, მამისეული ორლულიანი თოფი მარჯვედ გადაიგდო მხარილივ. ვახნებით სავსე ყათარი და პატარა ხანჯალი წელზე შემოირტყა, ჯოხი მოიმარჯვა და მკვირცხლად აჰყვა ჭალიდან სერისაკენ მიმავალ აღმართს.

— იცოდე, ვახშმად შენი ნანადირევის იმედზე ვართ, ლეო, — გაეჭილიკა პაპა ნორჩ მონადირეს და თან ამაყად გააყოლა თვალი შვილიშვილს. უხაროდა. რომ რაც მთაში ამოიყვანა, ყმაწვილი გამოცოცხლდა, ფერ-ხორცი დაუბრუნდა, მადა მიეცა და ხალისი მოემატა. დღეებამ სუფთა ჰაერზე ყოფნამ, მთის ცივმა წყაროებმა, ქედლიდან-ქედზე მოგზაურობამ საოცარი გავლენა მოახდინა მასზე, ავადმყოფობის ნაკვალევიც კი აღარ ეტყობოდა.

* * *

სანადიროსაკენ მიმავალმა ლეომ ტყიანი გორა აათავა და იალალზე ავიდა. პატარა მონადირე გაფაციცებით იყურებოდა აქეთ-იქით, მაგრამ თვალი ვერაფერს მოჰკრა.

ნაავდრალი მთები მდუმარედ იდგნენ და დანამულ გულმკერდს დაფლეთილი ღრუბლებიდან გამოსხლეტილ მზეს უფიცებდნენ.

უცებ, ლეოს როჭოს კრიახი შემოესმა. თოფში სასწრაფოდ ჩადო საფანტიანი ვახნები და ფრთხილად გასწია წინ.

კარგა ხანს იარა. აი, თითქოს მივიდა კიდეც, მაგრამ როჭოს ხმა ახლა ზემოდან — დიკიან გორიდან მოისმა. ლეო ახლა იქით გაიქცა, ფრინველმა კი ალლო აილო და ადგილს იცვლიდა. ლეომ დიდხანს ეძებდა როჭო. ბოლოს, იმედმოცარულმა ხელი ჩაიქნია და სალოკის სერისაკენ გასწია, მას იქ ჯიხვები და არჩევები ეგულებოდა და, აბა, ერთი ბეწვა როჭოს როგორ დაუდებდა გულს.

— ნეტა ერთი დიდ ჯიხვს შემახვედრა, ან არჩევების



პატარა მონადირე გაფაციცებით იყურებოდა აქეთ-იქით.

ჯოგს! მე მგონი, ტყვიას ადვილად არ ავაცდენ. როჭო თუნდ მოგვლა, პაპა მაინც დამცინებს: მაგ ჩიტისათვის მთელ დღეს როგორ ეხეტო. ჯიხვის მოკვლა კი სულ სხვა რამეა,—ფიქრობდა ლეო და თან ზევით მიიწევდა.

აი, ავიდა კიდევ დანიშნულ ადგილას, რომელსაც სალოკის სერს ეძახიან. აქ, ზაფხულობით, მებატკნე მეცხვარეები სიბ ქვებს ალაგებენ, ზედ დაფქულ მარილს უყრიან ბატკნებს ასალოკად. ამის გამო შეერქვა ამ მთას „სალოკი სერი“, ხოლო იმ ადგილს, სადაც ფარას მარილს უყრიან—„ნამარილევი“. ბატკნები ალოკვისას მარილს ფანტავენ ხოლმე, რომელიც იქვე მიწაში იზილებს. როცა შემოდგომა მოახლოვდება და ცხვრის ფარები ჯერ ჭალებში ჩავა, ხოლო მერე ბარში, ნამარილევზე გარეულმა ნადირმა იცის გამოსვლა ნარჩენი მარილის ასალოკად. ამის გამო მონადირეები ხშირად უსაფრდებიან ამ ადგილებში ნადირს.

ლეომ მონახა მონადირეებისაგან ძველადვე აშენებული საფარი, მოკლე თუშური ლეგა-ქათიბი გაიხადა, ძირს დაავო, პირქვე წაწვა და თოფი მოიმარჯვა...

კარგა ხანს იწვა საფარში განაბული. ერთ-ერთი დინა კიდევ. სიზმარში ირგვლივ ჯიხვის ჯიხვები დადიანდნენ. რომელიღაც ხარჯიხვს რქებზე წამოავლო ხელი და ზურგზე მოახტა. ჯიხვი გარბოდა თვალჩაუწვდენელ უფსკრულების თავზე და მიაქროლებდა ლეოს...

უეცრად, რაღაც ფრთხილი მოესმა. ლეომ თვლები გაახილა, მაგრამ ვეღარ გაარჩია—კვლავ სიზმარში იყო, თუ ცხადად ხედავდა: სალოკის მეორე მხარეს, კლდის ქანჩახებზე არჩევი გადმომდგარიყვნენ და დაფეთებულ თვლებით აქეთ-იქით იყურებოდნენ. ისინი თოფის-სასროლ მანძილზე იყვნენ, მაგრამ ლეოს სულ გადაავიწყდა ყველაფერი. უმზერდა პატარა ციკნებს, რომლებიც დედას ეფარებოდნენ; რქებმოხრილი ვაცები კი ყელყელაობდნენ, კლდიდან კლდეზე დახტოდნენ და სადღაც გაიყურებოდნენ. ეტყობოდათ, რაღაცას დაეფრთხო ისინი.

ერთმა ვაცმა, რომელიც ყველაზე მაღალი კლდის წვერზე იდგა, უეცრად დაუსტვინა, მერე მთელი სისწრაფით დაეშვა, თანამომძვებელი გამოიყოლა და ყველანი ლეოს მიმართულებით გამოქანდნენ. ნამარილევი ერთ წამში გადმოირბინეს და მთელი ფარა თავს წაადგა საფარში ჩასაფრებულ ლეოს. პატარა მონადირე ახალა მოვიდა გონს და ფეხზე შემდგარ ორივე ჩახმახს ერთბაშად გამოჰკრა... თოფის ქუხილმა დადუმებული მთები შეაზრილა.

თავდავიწყებით მიჰქროდნენ რუხი არჩევი კლდის ციკაბოებზე...

ლეო ფეხზე წამოხტა და ნამარილევის გადახედა ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, საფანტით ფეხებზემოღეწილი არჩვის ციკანი ფართხალებდა, ზეზე ადგომას ცდილობდა, მაგრამ ისევ ძირს ეცემოდა. ლეო გახარებული მიიჭრა მასთან. ციკანი გაინაბა, ფეხზე ადგომა აღარ უცდია; მხოლოდ, აკანკალებულმა ისეთი თვლებით შეხედა მონადირეს, რომ ამ გამოხედვაში იყო შიშიც, საყვედურიც და ვედრებაც, მაგრამ ლეოს ეს გამოხედვა არ შეუმჩნევია, თორემ განა ისეთი უგულო იყო, ციკანი არ შებრალებოდა! მან იცოდა, რომ ნადირის მოკვლა სასახლო იყო, და მასაც ეს სახელი ახარებდა. იგი დაიხარა, უნდოდა დაჭრილი ხელში აეყვანა. ღონე-გამოცლილმა ციკანმა ერთხელ კიდევ სცადა წამოხტომა, და ადგილიდან რომ ვერ დაიძრა, საცოდავად დაიბღავლა, ალბათ, მონადირისაგან დამფრთხალ დედას მოუხმო საშველად. მისმა შებღავლებამ ლეო შეაქროთ, და მან უკან დაიხია.

* * *

თვალს მოეფარა თუ არა შევლიშვლი, მოხუცმა მაშინვე სინანული იგრძნო. უნდოდა გამოჰკიდებოდა და უკან გამოებრუნებინა, მაგრამ გულისთქმას მოერია და გაიფიქრა: დაე, წავიდეს, ინადიროს. კაცი რაც მეტად მიაწყდ-მოაწყდება, უფრო მხნე და მამაცი გახდება. თუ ფათერაკად მოკლა რამე, გახალისდება, გალალდება, სი-

ამაყეს იგრძნობს, თავისთავისადმი რწმენა გაუმტკიცდებოდა. თუ ტყუილად ივლის,—დაე, იგემოს მარცხიც, ეგეც კარგია. დაე, მარტომ იაროს საჯიხვევებში. მაგისი ჯიხვი არ მინდა, ოღონდ ჯიხვივით ლალი და ამაყი გამეზარდოს.

ასეთი ფიქრებით გულს იმხნეებდა მოხუცი, მაგრამ ფარული სინანული და შიში კი მაინც არ სცილდებოდა, თანაც სმენად იყო გადაქცეული. ყურებში სულ თოფის ხმა ჰქონდა გამჯდარი. მზე გადაიწვერა და ლეო არ ჩანდა. ყუღია აუბუზღუნდა თავის თავს: „ეტყობა, სიბერემ ჰკუთვნა გამოძლიანობა. რატომ გავუშვი ბაღლი სანადიროში. რა მრავალშვილიანი და შვილიშვილიანი მე ვარ, რომ ასე თამამად ვექცევი ამ ბაღლის სიცოცხლეს. ეგ ერთადერთილია ჩვენი გვარის გამგრძელებელი, ეგეც რომ რაიმე ფათერაკის მსხვერპლი გახდეს, მაშინ ხომ ჩემი ხელით უნდა გავითხარო საფლაფი, რაღად ეღირება ჩემი სიცოცხლე. ვაი ჩემს გადაყრუებას!—ჯერ დედის რძე ტუჩებზე არ შეშრობია და მე უკვე დასრულებულ ვაჟაკად წარმოვიდგინე“. ამ წუხილსა და ლოდინში უკვე მოსალამოვდა, ლეო კი კვლავ არსად ჩანდა.

მოხუცმა დაჰკარგა სიმშვიდე. სურდა გაქცეულიყო შვილიშვილის საძებნელად, მაგრამ რა ექნა,—ამ საღამომხანს, გაფანტული და დაშლილი ფარასათვის თავის მინებება სოფლის დოვლათის დაღუპვას მოასწავებდა.

გულმოსულმა მოხუცმა ვაცებს დაჰკივლა, ფარას ფეხმარდად წამოუბრინა, რათა დროზე მიექუჩებინა ბინაში. აჩქარებით მიერეკებოდა გაფანტულ თოხლებს. ქვისა და ხმელი ფიჩხის ნამტვრევებს ესროდა ანც თებებს, მაგრამ ისინი არც თუ ისე უჯერებდნენ მოხუც მწყემსს, ცოტაზე წაიკუნტრუშებდნენ და მერე კვლავ ჩერდებოდნენ, ჭალის ხამ ბალახს ეხარბებოდნენ; თანაც არ იყვნენ მწყემსისაგან ასეთ გამუდმებულ ტუქსვას ჩვეულნი. ყუღია არადროს არ აძალბებდა ნაბიჯის აჩქარებას, ისე ნელა გააყოლებდა, რომ ვერც კი იგებდნენ, როგორ გაჩნდებოდნენ ხოლმე ალხაჯზე.

ყუღიამ, სხვა დროსთან შედარებით, ადრე მიაქუჩა ფარა ბინაზე. მხრებიდან გულდა-ნაბადი მოიხსნა და ხის ჩხაზე ჩამოჰკიდა. მერე ცეცხლი დაანთო, ძაღლს საღაფავი მოუღულა, აჭამა და ცხვრის თეოზე გაგზავნა საღარაჯოდ. თავისი შავი ნაბადი ჯოხს წამოასხა და კაცივით გააჩერა ალხაჯის პირას. ეს თადარიგი იმის გამო დაიჭირა, რომ ფარას ნადირი არ დასცემოდა. მტაცებელთა მოგერიების დროს მთავარი თუმცა მწყემსია, მაგრამ ძაღლი, ცეცხლი და ხელოვნური ლანდი საკმაოდ ეხმარება მწყემსს.

ყუღიამ ცეცხლის შუქს, კაცის ლანდს და ერთგულ აფთარას მიანდო დროებით ფარა, თვითონ კი გრძელი ჯოხი მოიმარჯვა და ლეოს საძებნელად გასწია.

საღამოს ბინდი გასშირდა. მოხუცმა ტყიანი გორა აათავა და უკვე იალაღზე ავიდა. ამ ადგილებში სიარული დღისითაც ძნელია, მაგრამ გაჭირვება შეუძლებელს შეაძლებინებს ხოლმე კაცს. ღამის სიბნელეში უკვე აღარა-

ფერი მოჩანდა. მოხუცი კი მაინც წინ მიიწვედა უჩვეულო ქვა, ყოველი ბუჩქი მისთვის ნაცნობი იყო, ამის გამო გუმანით ხედებოდა, სად იყო და საით მიდიოდა. ხანდახან შედგებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, გულს ოდნავ შეასვენებდა და მერე მთელი ძალით გაჰკივლებდა ან გასტვენდა. მოხუცის ძახილს მთები მთებს გადასცემდნენ. ერთ წუთს მიაყურადებდა, მაგრამ საპასუხო ჩქამი არსაიდან ისმოდა, მარტო ხეების ბუბუნნი და ჩანჩქერების ხმა ამოჰქონდა ნიაგს სალოკის სერზე შემდგარი მოხუცის სმენამდე.

შუალამედე იბორიალა ბნელ, უმთვარო ღამეში მდუმარე მთების თავზე, შვილიშვილის დაკარგვით გულაბორგებულმა მოხუცმა. ყოველი ცდა ამაო გამოდგა. სასოწარკვეთილი ყუღია თავის გრძელ ჯოხს დაეყრდნო და ჭალისაკენ დაეშვა. მიიწვედა ჭალისაკენ და თანდათან უახლოვდებოდა თავის მიტოვებულ ფარას. აფთარას გორიდან რაღაც ხმაური მოესმა, ძაღლმა შეჰყეფა და ფარას შემოუბრინა. თოხლები ჯერ დაფრთხნენ და მერე გაიბრუნდნენ. აფთარამ ჰაერს დაჰყნოსა, და რაკი იგრძნო, საშიში არაფერიო, ყეფა შეწყვიტა, თეოზე წამოყუნტდა. ტყიდან ფეხის ხმა და ხმელი ფიჩხის ლა-



კლდის ქანჩახებზე არჩევნი გადმომდგარიყვნენ.

წუნი მოახლოვდა. ძაღლი კი დამშვიდებული იტყირებოდა ზევით, ხანაც ფარას გაჰხედავდა ხოლმე. მიხვდა, რომ პატრონი მოდიოდა. ამის გამო ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, რადგან იცოდა, ლაქუცა და წარამარა მორბენალი ძაღლი არ უყვართ მწყემსებს.

ყუღიამ შორიდანვე შენიშნა: ალხაჯის პირას მის მიერ დანთებული ცეცხლი გაძლიერებულიყო და იქვე, გვერდით, ლანდი მოჩანდა. გულში იმედის შუქი ჩაუდგა მოხუცს. იფიქრა: ეგ, უეჭველად, ჩემი ლეოაო. და თით-

ქოს ფრთები გამოსხმოდეს, ისე ფეხმარდად წამოვიდა დაღმართზე, მაღალი შამბნარი მკერდით გადმოანგრია და ცეცხლთან გაჩნდა.

პატარა მონადირე ცეცხლისპირას მიწოლილიყო. მთა-კლდეთა წყვეტებით არაქათგამოცლილს ისე ღრმად ჩასძინებოდა, რომ პაპას დაბრუნება ვეღარ გაიგო. მოხუცს სახეზე კმაყოფილებისა და სიამოვნების ღიმილი აუთამაშდა, როცა შვილიშვილი უენებელი დაინახა. მიალერსება და მოსიყვარულება უნდოდა, მაგრამ მთაში გაზრდილ კაცს გულსათუთობის გამოჩენა არ უყვარს-თუმცა ბიჭი ნაბადში მშვენივრად იყო გახვეული, მაინც შეუწია ნაბდის კალთები. თავქვეშ თავისი ბარჯლალა ცხერის ტყავის ქუდი დაუდო, ცეცხლს მუგუზალი მიუმარჯვა. მძინარე ყმაწვილს დაჭრილი ციკანი მოსიყვარულე დედასავით მიეხუტებინა. ციკანმა მოხუცის დახახვანე ყურები აცქვიტა; ათრთოლებულმა საბრალოდ შებლავლა. ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ საფანტით შემომტვრეული ჩვილი მუხლები არ დაემორჩილა.

ყუდიამ ციკანი ფრთხილად აიყვანა ხელში. მაგრამ ლეომ მაშინვე იგრძნო. რომ ციკანი გვერდით აღარ ეწვა. შეშინებული წამოიჭრა ზეზე და, როცა დაინახა, რომ მისი ნადავლი პაპას ეჭირა ხელში, უცებ დამშვიდდა.

— ეჰ, შე უხვიროვ, ასეთ ჩვილს რაღა თოფი უნდოდა, ამას ფეხდაფეხ დაიჭერდი.

— მე მაგისტვის არ მისვრია, დიდებს ვესროლე და პატარას მოხვდა.

მოხუცი ჭრილობებს უსინჯავდა, დამტვრეულ ძვლებს უსწორებდა. ციკანი საწყალობლად ბლაოდა. ლეოს გული სიბრაღულით ეგსებოდა და პაპას ეხვეწებოდა, მოვარჩინოთ როგორმეო.

ყუდიამ მარჯვედ დათალა ჯოხები, გატეხილ ფეხს გარშემო შემთაკრა, ზედ ბაწარი დაახვია. მერე ციკანი ლეოს გვერდით მიუწვინა. ყმაწვილმა კვლავ მკერდში ჩაიხუტა და მასთან ერთად ტკბილად ჩაიძინა. მოხუცმა კი სამწყემსოს შემოუარა, თეოზე ჩვეულებრივად ჯოხს დაეყრდნო და დაღლილმა ზეზეურად ჩათვლინა.



საუბარნი შვილთან

ხვამ ბეკულაა

გაიცან იგი...

მოდის, ძმებოვით ჩამოვჯდეთ, არჩილ, და თანამგზავრი გაიცან შენი. გულით სწადია, ქარში და დარში რომ გაგინათოს სიცოცხლის დღენი.

მას პქვია წიგნი! ვით შენი სწორი, ჩაიხუტე და მიეცი ხელი. მან იცის გზები ძნელი და შორი, მან იცის გზები შორი და ძნელი.

მას შეუძლია გიჩვენოს ფონი და გაპოვნინოს ბილიკი წვრილი, ვერ შეედრება ძალით და ღონით ცის შვილობილი თუ მიწის შვილი.

მამა გყოლია არა მდიდარი, არ გააჩნია ამ ქვეყნად ჩირგვიც. სხვა გზა არა გაქვს არავითარი, — გაიცან იგი...

დაბადების დღეს ნათქვამი

იყავ მართალი, როგორც სინათლე, და მეოცნებე, როგორც მშობელი, იყავ ნათელი, როგორც სიმართლე და... შენი ხალხის მახარობელი.

განა არ ვიცი, მეტად ძნელია, რომ ქვეყანაზე დასტოვო კვალი, და თუ ძალ-ღონე გამოგელია, გზას წინაპრისას მიაპყარ თვალი.

შენი წინაპრის სახელი წმინდა მკერდში ჩაიდგი და ჩაიხატე. ასე იარე, ჩქარა და მშვიდად, მიუწვდომელიც ხშირად ინატრე.

დაე ის იყოს მიუწვდომელი, როგორც ყველაზე ფიცხი ოცნება, ოღონდ იხილონ შენში მშრომელი და ხორციელი პატიოსნება!



ბიორგი ლეონიკე

უზრნალ „პიონერის“ რედაქცია და მკითხველები მთელი ბულით ულოცავენ ჩვენს სასახელო კომეტსა და საზოგადო მოღვაწეს—ბიორგი ლეონიკეს მისი დაბადების სამოცი წლის თავს. მთელი შეამოქმედება ბიორგი ლეონიკისა შრომბელი ხალხისადმი სიმშვარულითაა ამდებარული. ამიტომაც აღნიშნა ზემოთქატიველმა ხალხმა მისი იუბილე. ამ ზემოთქატიველმა მიიღეს ბიორგი ლეონიკის ნდობა მკითხველებმაც.

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,—
ეს ყვაილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე.

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო—ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი!

გიორგი ლეონიკე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბიორგი ლეონიკეს საქართველოს სსრ სახალხო კომეტის საპატიო წოდება მიენიჭა.

უზრნალ „პიონერის“ მკითხველები უსურვებენ ბიორგი ლეონიკეს ხანგრძლივ სიცოცხლეს და მისიან ელიან ახალ ნაწარმოებებს, სადაც მათი ბედნიერი ბავშვობაც იქნება ასახული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბიორგი ლეონიკეს საქართველოს სსრ სახალხო კომეტის საპატიო წოდება მიენიჭა.



საფუნური

ვინ მოთვლის რა კობტად შეკერილი კაბა არა სცმია ლალის, გვირგვინით გაშლილი, ფარფლებიანი თუ ქობაშემოქარგული, მაგრამ აქამდე რომ გეკითხათ, იმასაც ვერ გეტყვოდით, შეკერილი არიან ეს კაბები, მოწული თუ მოქსოვილი. ახლა კი, აგერ, მაგიდაზე, თოვლივით ქათქათა ტილო გაუფენია, კაბის გულზე ძაფგაყრილი ნემსი მიუბნევია, ხელში მაკრატელი მოუმარჯვებია და დიდი ნაბიჯის წინ ჩაფიქრებულია.

— გაგჭრი, რაც იქნება, იქნება!— ამის გაფიქრება და ტილოს ნაწიბურზე მაკრატლის დადება ერთი იყო.


— ვაი თუ მოკლე მოვიდეს კალთა, ცოტას კიდევ გადავწევი,— ისევ ჩაფიქრდა გოგონა, ისევ ასცდა მაკრატელი ნაწიბურს.

ასეთი მსჯელობა, თავის მტკრევა და ფიქრი არითმეტიკული ამოცანის ამოხსნის დროს თუ ჰქონია ლალის, მაგრამ არა, ეს გაცილებით ძნელია ამოცანის ამოხსნაში თუნდ ათ ფურ-

ცელს გადასწერ, გადახაზავ და სწორ პასუხამდე ისე მიხვალ. აქ კი, მასწავლებელმა სათითაოდ ჩამოურიგა ორ მეტრამდე თეთრი ტილო და თავთავიანთის თეთრი წინსაფრების შეკერვა დაავალა.

მართალია, წინსაფრების გამოჭრა, გაწყობა და შეკერვა თეორიულად ძალზე იოლად და გასაგებად ერთი სამჯერ მაინც აუხსნა მასწავლებელმა და აჩვენა კიდევ ბავშვებს, მაგრამ, თეორია ერთია, პრაქტიკულად კი მისი შესრულება არც ისე იოლი აღმოჩნდა.

გუშინდელივით ახსოვთ ლალისა და შის თანარაზმელებს ის დღე. მას შემდეგ კარგა ხანა გაიარა.



— ნეტა ეს ბურთიც ჩავაგდო,—ინატრა კალათბურთელთა გუნდის კაპიტანმა ივორმა, როცა მომარჯვებული ბურთით კალათის პირისპირ აღმოჩნდა.

ახლა ლალისა და მის თანატოლებს შესრულებული აქვთ ნორჩ პიონერთა სანიმუშო ნუსხის მოთხოვნა—მოემსახურე საკუთარ თავს: დაიკერე ღილები, ამოკემსე წინდები, დააკერე თეთრეული და ტანსაცმელი. გუშინდელივით ახსოვთ ის დღე და არც არასოდეს დაავიწყდებათ, რადგან პიონერებმა იმ დღეს პირველად იგრძნეს პრაქტიკული საქმიანობის მთელი სიძნელე და საკუთარი მარჯვენიტ შესრულებული ნამუშევრისაგან გამოწვეული დიდი სიხარული.

იმ დღეს გატყდა «არ შემოძლია» და პატარები დარწმუნდნენ, რომ საჭირო ცოდნისა და სასარგებლო ჩვევის შექმნისათვის მხოლოდ სურვილი და მონდომება საჭირო.

ეს ცოდნა და სასარგებლო ჩვევა ბევრჯერ გამოადგათ გოგონებს შინ თუ სკოლაში.

აგერ, ახლახანს, მათ რაზმის საბჭოსაგან სასწრაფო დავალება მიიღეს—რაზმის კალათბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდებისათვის ერთნაირი შავი ტრუსები უნდა შეეკერათ.

ფრიალებდა ლურჯი სატინი, ჩიქ-ჩიქებდნენ საკერავი მანქანები, ფუს-ფუსებდნენ პიონერები.

დიდი მონდომებით და გულისყურით ასრულებდნენ ნორჩი მკერავები ამ შეკვეთას. ყოველ ძაფსა და გვი-

რისტში აქსოვდნენ სპორტული გამარჯვების დიდ სურვილს, მაგრამ ეს სურვილები რას უშველიდათ, რომ თვითონ კალათბურთელები არ ყოფილიყვნენ მოქნილნი და გაწაფულნი.

ამ რაზმში მარტო კალათბურთელები როდი არიან კარგი სპორტსმენები, მეთხუთმეტე რაზმს სკოლაში ზედმეტ სახელად «სპორტულ რაზმს» უწოდებენ. მასში ოცდაათობმეტი პიონერია და ოცდაათობმეტივე მძლეოსანია. ისინი, როგორც ერთი, ყოველ დილით ასრულებენ დილის გამამხნეველ ვარჯიშს, სპორტულ სექციებში იწრთობიან, მათ უკვე მიიღეს მონაწილეობა სარაიონო, სპორტულ შეჯიბრებაში.


რაზმეულის პირველობაზე, რაზმებს შორის მძლეოსნობაში გამართულ შიდასასკოლო სპორტულ შეჯიბრებაში გამოსცადეს სპორტული ძალა და მათი ასაკის პიონერებში ოთხ მე-5 კლასს შორის პირველი ადგილი დაიკავეს. ამ შეჯიბრების

შედეგად, მეთხუთმეტე რაზმელებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ რბენა 60 მეტრზე, ხტომა სიმაღლეზე და სიგრძეზე, ბაგირზე ცოცვა, დაუფლებულნი არიან სპორტულ თამაშს.

კალათბურთელთა შიდასასკოლო შეჯიბრებაში ბურთის სწრაფი გადაცემით, საკუთარი ფარის მტკიცე დაცვით, მოწინააღმდეგის ნახევარზე ხშირი შეტევით, სპორტული აქტივობითა და მეტად ყურადღებიანი თამაშით გაიმარჯვეს მეთხუთმეტე რაზმელებმა.

ერთი ხუთეული ასპარეზზე იყო გასული, ხოლო დანარჩენები სპორტულ ჯორმაში გამოწყობილი ისხდნენ გულშემატკივრებს შორის და ყოველ წუთს მზად იყვნენ მაყურებლის სკამიდან მოედანზე გასულიყვნენ და ბურთს შეზმოდნენ.

ასე, ამ რაზმში, ყველა თამაშობს ბურთს, ამიტომ ეწოდა ამ რაზმს სპორტული. მეთხუთმეტე რაზმელები მხნედ მიაბიჯებენ პიონერულ საფე-



საკლასო ოთახის დალაგება-დახუფთავებაში გოგო-ბიჭები ყოველთვის თანატოლად იყოფენ სამუშაოს. აი, ახლაც, გალინამ და ივორმა ერთად დააღაგეს საკლასო ოთახი. ივორმა მერჩებს აადგილებდა, გალინა კი შვავდა.

ხურბზე, მათი ცოდნა და სასარგებლო ჩვევები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

სწორედ მეთხუთმეტე რაზმელებს დაეკაპიწებინათ მკლავები ამ შემოდგომაზე და სასკოლო საცდელ ნაკვეთს შესეოდნენ.

ბარავდნენ და აბრუნებდნენ ნიადაგს, არჩევდნენ სათესლე ხორბალს და სთესდნენ.

ახლა თოვლის საბანქვეშ დვივის და იზრდება საშემოდგომო ნათესი. მართალია, იგი თვალუწვდენელ ფართობზე არ არის გაშლილი, არც მისი მოსავალია ტონობით, მაგრამ რაც დათესეს და რასაც მოიწვევენ პიონერები, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მნახველმა მათი მარჯვენის შესახებ იმსჯელოს, სოფლის მეურნეობის ამ დარგში მათი ცოდნა გაივოს.

...სკოლის სააქტო დარბაზში ტაში ჰქუხდა, მაყურებელი განმეორებით იძახებდა ნორჩ მსახიობებს, რომლებმაც შესანიშნავად წარმოადგინეს რუსული ხალხური ზღაპარი: «ბაბუა და თალგამი».

მქუხარე ტაშზე, მაყურებელთა დაქინებული თხოვნით ორჯერ «გამოვიდნენ» თოჯინები, ორჯერ მოწიწებით დაუკრეს თავი ბავშვებს, მაგრამ თოჯინების გარდა ყველა მიხვ-

— რა კარგია, როცა მანქანას დაიმორჩილებ, — ფიქრობდა ჯილდა ამბროზაშვილი და ხიამოვნებით აყოლებდა თვალს ხაკერავი მანქანის სწორსა და წმინდა ნაკერს.

დებოდა, რომ მათ იმ მსახიობების ნახვა უნდოდათ, ვინც ასე კარგად შეისწავლა ინსცენირების ტექსტი, ასე კარგად ეჭირა თავი, ვინც ასე ზომიერად იცავდა ხმის ტონალობას, ვინც სწორად მოიტანა მაყურებლამდე ამ ზღაპრის აზრი. აგერ, ისინიც ავანსცენაზე მეთხუთმეტე რაზმის პიონერები გამოვიდნენ, ყველას თავისი თოჯინა დაეჭირა ხელში და ერთხმად უხდიდა მადლობას თანატოლ მაყურებლებს.

სპექტაკლის წარმატებაში მარტო მათმა აქტიორულმა ნიჭმა როდი ითამაშა როლი. პიონერებმა თვითონ მოამზადეს დეკორაციები, თვითონ ააწყეს სცენა; ალბათ, არაფერი გამოუვიდოდათ, მარჯვე ხელი რომ არა ჰქონოდათ, მათ კარგად იციან ჩაქუჩისა და ხერხის, შალაშინისა და საჭრეთელის ხმარება, ხის მასალაზე მუშაობა.

სულ მალე ისინი რაზმში რგლებს შორის შეჯიბრებას გამოაცხადებენ, თუ ვინ უკეთ შეასრულებს ნორჩ პიონერთა სანიმუშო ნქსის მოთხოვნას: «გაიგე, რა ხელსაწყო ესაჭიროება შენს კლასს და რგოლთან ერთად გააკეთე საჭირო ნივთი სასწავლო მუშაობისათვის».

ნამუშევრებს ისინი საგანგებო გამოფენას მიუძღვნიან. ამ შეჯიბრებითა და გამოფენით, სპორტსა და სწავლაში წარმატებით, მომავალი ლაშქრობა-მოგზაურობებით, კარგად მოვლილი სასკოლო-საცდელი ნაკვეთით, სუფთად და კოპწიად შენახული საკლასო ოთახებით, თოჯინების თეატრით, მარჯვე ხელითა და მოქნილი კუნთებით, ჯართის შეგროვებით, საზოგადო-სასარგებლო შრომით, საინტერესო და შინაარსიანი შეკრებებით თბილისის 37-ე სკოლის პიონერები ემზადებიან პიონერთა რაზმეულების იმ დიდი დათვალეიერებისათვის, რომ



სცენაზე ბაბუა თალგამს ეწევა, მაყურებელთა დარბაზში ბავშვები კისხებიან, კულისებში კი ნორჩი მსახიობები — ვიქტორია და დეიზა თავიანთი თოჯინების ცქერით ვერ დაშტკბარან.

მელიც საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერთა ცენტრალურმა საბჭომ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 90-ე წლისთავს მიუძღვნა.

დათვალეიერებაში მონაწილეობას იღებს მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მილიონობით პიონერი. დათვალეიერება ჩატარდება 22 აპრილს, იმ დღეს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი იზეიმებს ბრძენი მასწავლებლისა და საყვარელი ბელადის — ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს.

რ. პერკინა

ფოტო დ. იაკობაშვილისა



— არა, ჯენერ, მგონი ვერ წამოვალ...
 — გამარჯვებულებს დააჯილდოვებენ,—თქვა ჯენერ-მა,—პირველ და მეორე ადგილზე გამოსულთ შვიდ ში-ლინგს, ექვს პენსსა და ნახევარ კრონს მისცემენ.
 ჯეკი შეუჩერებლად ისროდა ბურთს, მაგრამ თავში ჯილდოებზე ფიქრი უტრიალებდა.
 — შინ ერთი ბავშვიც არ დარჩენილა, ყველანი შე-ჯიბრებაზე წავიდნენ,—განაგრძობდა ჯენერი.
 ჯეკმა იფიქრა: იქნებ დამაჯილდოვონ, შარვალს ვი-ყიდი და დედას დარდს შევეუმსუბუქებო.
 — მონაწილეობისათვის ფულია საჭირო?
 — მხოლოდ ექვსი პენსი.
 — მხოლოდ,—ძლივს გასაგონად თქვა ჯეკმა.—ჩემ-თვის ექვსი პენსი და ერთი გირვანქა სტერლინგი ერთი და იგივეა.

ლილისფერი ნაჭერი

— სამ პენსს ბურთში მოგცემ.
 — სამი ცოტაა.
 —სამსაც მინა-ასანთში.
 ჯეკი დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:
 — ჯენერ, შენ თაღ-ლითი ხარ!

ლევინ ბავიგსონი

მოთხრობა

— დედი, როდისღა მეღირსება ახალი შარვალი?—
 ჰკითხა ჯეკმა დედას.

დედამ თავაუღებლად განაგრძო უთოობა. შვილის შე-კითხვა თითქოს მხრებზე ახალ ტვირთად დაწვაო, უფ-რო ღონივრად დააჭირა უთო მაშის პერანგს.

— როცა მამა ცოტას მაინც წაიმუშავებს,—ძლივს ამოთქვა დედამ და თან დასძინა,—შეიძლება ოქტომბერში.

ჯეკი ქუჩაში გაეარდა.

ბურთი გაშმაგებით ესროლა აგურის სახლის კუთხეს. ოქტომბრამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. კარგა ხანს უნდა ელოდნა, ვიდრე დაკერებულ ნაჭერს თავიდან მოი-ცილებდა.

მართალია, შარვალზე უკან ფაქიზად დაკერებული ნაჭერი ორ დღემსაც არ აღემატებოდა, მაგრამ იგი ლი-ლისფერი იყო.

იმ დღეს, როცა მან დედასთან მიიბრინა და უთხრა: დედი, შარვალი უკვე გამიცვდაო,—დედამ მხოლოდ ერთადერთი ნაჭრის მონახვა შესძლო: გაცვეთილი ადგი-ლი ძველი, ლილისფერი პალტოს ნაგლეჯით დაუკერა.

ჯეკი შეუსვენებლად ესროდა ბურთს კედელს და უკან მობრუნებულს ორივე ხელით იჭერდა. შეიძლება ოქტომ-ბერში გამოემშვიდობოთ ლილისფერი ნაჭრით დაკერებულ შარვალს, მანამდე კი დაკერებული ყველას თვალში შეეჩ-ხირება. მას დაინახვს ოქროსფერთმიანი გოგონა—პენი დეილი, რომელიც აქ დადის სკოლაში.

ჯეკს ვიღაც მიუახლოვდა და ქაღალდის ისარი ესრო-ლა, ეს ჯენერი იყო.

— ჯეკ, შეჯიბრებაზე მოდიხარ?—ჰკითხა მან.

ჯეკმა ისარი უკანვე ესროლა და მერე ბურთი ისევ კედელს დაუმინა.

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ჯეკი ისევ დაფიქრდა.

ათი წუთის შემდეგ ბიჭები შეჯიბრებაზე მიემურე-ბოდნენ,—ჯენერი ბურთითა და მინა-ასანთით გაბერილი ჯიბით; ჯეკი გაოფლიანებულ მუჭში ჩაბღუჯული ფულით. ჯენერი—სპორტულ თეთრ ფეხსაცმელსა და ტრუსში გამოწყობილი, ჯეკი—გაცვეთილი სანდლებითა და ლი-ლისფერი ნაგლეჯით დაკერებული შარვლით.

ჯეკს არასოდეს არ ენახა ერთად თავმოყრილი ამდენი ბავშვი. მინდორი გოგო-ბიჭებით იყო მოფენილი. მან ბავ-შვებს თვალი მიმოავლო და იფიქრა, მე ყველაზე ღონიე-რი ვარო. იგი დიდი ხანია ოცნებობდა მონაწილეობა მიე-



— სამ პენსს ბურთში მოგცემ.
 — სამი ცოტაა.

ლო შეჯიბრებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვების სიხარულის გრძნობა განეცადა, მაგრამ დაკერებული შარვალი რომ მოაგონდა, წასვლა გადაიფიქრა. ეგონა, ყველა მას მიაჩერდა. ახლა კი სულ სხვა საქმეა, ირბენს მხოლოდ იმისათვის, რომ როგორმე თავიდან მოიცილოს ლილისფერი ნაჭრით დაკერებული შარვალი.

— პირველი გარბენა სამოცდაათ იარღზე ბიჭებისავეს — დაიყვირა მსაჯმა.

ჯეკმა გადაიხადა ექვსი პენსი და ჯენერისა და სხვების გვერდით მწკრივში ჩადგა.

იგი ელვის სისწრაფით მოწყდა ადგილს და ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად ერბინა. ბოლოს დაიღალა, ძალა გამოეღია, მაგრამ ფინიშთან მაინც მეორე მივიდა, გაუსწრო ჯენერს. და აკანკალებულ ხელში ნახევარი კრონი ჩაუდეს.

— შეჯიბრება ნემსითა და ძაფით სირბილში! — გაისმა მსაჯის ხმა.

გოგონები, რომლებიც ჯეკს პირველად არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა მის პარტნიორობას ცდილობდნენ. თეთრ ზედაწელსა და უჯრედებიან ქვედა კაზაში გამოწყობილი პენი დეილი ცოტა მოშორებით იდგა. ღია წითელი ბაბთით უკან შეკრული ოქროსფერი თმები მზეზე უბრწყინავდა. პირველი გარბენით ჯერ კიდევ სულ-შეხუთულმა ჯეკმა იფიქრა: კარგი იქნება, ჩემი პარტნიორი პენი რომ იყოსო. მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. თამამმა გოგონამ, რომელსაც ელენი ეძახდნენ, ჯეკს ხელი წაავლო და სტარტისაკენ წაათრია.

ჯეკმა დაინახა, რომ პენი ჯენერის გვერდით იდგა. მისი პარტნიორი იყო.

ჯეკმა შეუმჩნევლად მოისვა ხელი დაკერებულ ნაჭერზე და უხაროდა, რომ არ დასცინოდნენ. შემდეგ ნაკერს ხელი გააყოლა და უნებლიედ კბილი კბილს დააჭირა: თუ ეს თამაშშიც მოვიგე, ათი შილინგი მექნება. — იფიქრა მან.

თამამი ელენი მინდვრის მეორე ნახევარზე გადავიდა მას ნემსი მომარჯვებული ეკავა. ჯეკს ძაფი მისცეს. ძაფის წვერი რომ არ გაჩეჩილიყო, პირში დაიჭირა. გაისმა სასტვენის ხმა. ჯეკი ქარივით გაიჭრა, მან პირველმა მიიღებინა თავის პარტნიორთან. ელენი ხითხითებდა, აჩქარებდა ჯეკს, მაგრამ ნემსი ხელში მაინც გაუნძრევლად გაშეშებული ეჭირა. ჯეკი ისე დედავდა, რომ ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა ვერ იქნა და ვერ მოახერხა, ძაფის წვერი ნემსს ხვდებოდა და იღუნებოდა.

— რა მოუქნელი ბიჭი შემხვდა! — ბუზღუნებდა ელენი. მეზობელმა წყვილმა დაუბრკოლებლად შესძლო ნემსში ძაფის გაყრა და ოქროსფერთმიანი გოგონა პირველი მივიდა ფინიშთან. ელენმა კი ბოლოს მიიღებინა. იგი გაბრაზებული გაშორდა ჯეკს, მასთან ლაპარაკიც არ უნდოდა.

როცა ჯიბეებში ღრმად ხელჩაწყობილმა ჯეკმა გოგონებს გვერდით ჩაუარა, ზოგიერთ მათგანს სიცილი წასკდა. შემდეგ იწყებოდა «ურიკით» შეჯიბრება. ეს, დიდ-ჯილდოიანი შეჯიბრი, ჯეკის უკანასკნელი იმედი იყო.

მაგრამ ამჯერად არცერთმა გოგონამ არ მოისურვა მასთან სირბილი. ელენმა აირჩია ჯენერი, რომელმაც ნემსითა და ძაფით სირბილში თავისი პარტნიორი გოგონა მეორე ადგილზე გაიყვანა. ჯეკმა ირგვლივ უმწუოდ მიმოხედა, გული ეტკინა, შეეკუმშა, თითქოს ცემაც შეწყვიტა. ამ თამაშის დროს «ურიკას» როლს ბიჭები ასრულებენ: ისინი დაყირავებულნი, ხელებზე დაყრდნობილნი მოძრაობენ, გოგონას კი ბიჭის ფეხები ხელში უჭირავს და უბიძგებს. ჯეკის ახლო-მახლოს ერთი გოგონაც კი არ ჩანდა, არავის არ უნდოდა დახმარებოდა მას ახალი შარვლის საყიდელი ფულის შოვნაში.

ასეთ მდგომარეობაში ნახა პენმა ტოლების მიერ მიტოვებული, დაღონებული ჯეკი.

— გინდა დამეხმარო? — მორცხვად ჰკითხა პენმა.

ჯეკს ერთბაშად სახე გაუბრწყინდა, მაგრამ უმაღ ჰკითხა:

— შენ ხომ შეგიძლია ვინც გინდა აირჩიო.



ჯეკის ხელები თბილ ბალახზე წინ მიისწრაფოდნენ და თან მას სხეულს მიაქროლებდნენ.

— ჰოდა, მეც შენ ამოგიჩიე. — უთხრა პენმა მოულოდნელი სიხარულით გაოგნებულ ჯეკს. ანაზღად შეეპარა ფიქრი დაკერებულ ნაჭერზე. მან წარმოიდგინა, როგორ უჭირავს პენს მისი ფეხები და... მიჩერებია ლილისფერ ნაჭერს. მოეჩვენა, თითქოს ხედავს პენის ზიზლით დაღმევილ სახეს.

— არ შემიძლია, სპორტში ნამდვილი დოყლაპია ვარ, — სასოწარკვეთილი ხმით წარმოსთქვა ჯეკმა.

— ჯეკ, ჯეკ, გთხოვ, უარს ნუ მეტყვი. შეხედე, ისინი უკვე მოემზადნენ.

თითქოს ბურუსში მიაბიჯებდნენ, ისე გაჰყვა ჯეკი პენს სტარტისაკენ.

— რამდენი მიღებინა, მაგრამ არასოდეს არ გამიმარჯვია, — ცდილობდა დაერწმუნებია პენი.



ჩასუქებული მსაჯი მივიდა ჯექთან, წაავლო ფეხებში ხელი და აჩვენა პენს, როგორ უნდა დაეჭირა ჯექის ფეხები. შემდეგ მთელი ხმით დაიღრიალა:

— მოემზადეთ, წინ!

ჯექს დაავიწყდა თუ რატომ მოვიდა შეჯიბრებაზე, ის უკვე აღარ ფიქრობდა დედაზე, ჯენერზე, ელენ ფერმენზე და ჯილდოებზე. მას თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: პენი ხედავს შარვალზე დაკერებულ ლილისფერ ნაჭერს.

ჯექის ხელები თბილ ბალახზე წინ მიისწრაფოდნენ და თან მის სხეულს მიაჭროლებდნენ. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს მინდვრის ბოლოს, — რაც უფრო მალე მივა ფინიშთან, მით უფრო ცოტა ხნით დაინახავს პენი ლილისფერ ნაჭერს...

ჯექი ბუნდოვნად გრძნობდა, რა მაგრად ეჭირებოდა მისი ფეხები და როგორ მარდად მიაბიჯებდა. ნისლში ხედავსო, ძლივს ამჩნევდა, რომ ისინი ყველას უსწრებენ. ჯექი ღრმად სუნთქავდა, მკერდი ებერებოდა. ხელისგულები უხეშ ბალახსა და წვეტიან ქვებზე გადაუტყავდა, სისხლი თავში მოაწვა, მაგრამ იგი მაინც წინ, ფინიშის ლენტისაკენ მიიწევდა.

— ჯექ, ჯექ, ჩვენ გავიმარჯვეთ! — დაიყვირა სულშეხუთულმა პენიმ, როცა ჯექი ბალახზე დაეცა და ცდილობდა ღრმად ესუნთქა, სული მოებრუნებინა.

ჯექმა დაინახა, რომ პენის სახეზე ზიზღი კი არა, აღტაცების ღიმილი უკრთოდა.

თარგმანა შალვა ლოლობერიძემ




ამ პატარას, ამ ერთ ციდას
სავაჟაკოდ უცემს გული,
რა სიმძიმეს ეჭიდება
ერთიანად დაძაბული!

მოვა დრო და ტანს აიყრის,
გაიმარებს მუხლებს, მაჯას,
და სამშობლოს ასახელებს
მისი ღონე, მისი გარჯა.

ფოტოგრაფი
დ. დათუაშვილისა

გაფაციცებით ქექავს მაკა დგებუაძე კატალოგის უჯრას, ეძებს ახლადგამოსულ რაიმე საინტერესო წიგნს.

8008



განუყოველი ჰეგონარი

პირველი დაკაკუნება ვერც კი გაიგონა ზურაბმა: მთელი მისი გულისყური მივიდაზე გადაშლილი წიგნი-საკენ იყო მიპყრობილი, რომელსაც ჩუმად და გატაცებით კითხულობდა. მეორედ მაგრად დააკაკუნეს. მერაბი სწრაფად წამოდგა და კარი გააღო. სტუმარი ზურაბის თანაკლასელი აღმოჩნდა.

— შემოდი, ოთარ, — შეიპატიჟა ზურაბმა. — დღეს სალამომდე მარტოკა ვიქნები.

— დამაგვიანდება. მინდა ორი საათისათვის კინოს მივუხსწრო „ამირანში“. წამოდი შენც, ძალიან გთხოვ.

— წამოვიდოდი, მაგრამ წიგნს ვკითხულობ და ისეთ ადგილას გავჩერდი, არ შემიძლია მივატოვო. შენც რომ ჩემთან დარჩებოდე, კარგი იქნებოდა—ერთად წავიკითხავდით, ძალზე საინტერესო მოთხრობაა, სულ დაგავიწყდებოდა შენი კინო.

— აბა, რას ამბობ! — გაეცინა ოთარს, — ნეტავი შენც არ კითხულობდე ამდენს. დღეს ხომ მაინც კვირა დღეა. წამოდი, თუ ძმა ხარ, და რაც გინდა მთხოვე. მარტოს მეზარება კინოში შესვლა. ფული ორივეს გვეყოფა ბილეთებისათვის.

ზურაბი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— კარგი, წამოვალ; მხოლოდ, ერთი პირობით: თუ კინოს შემდეგ შინ ცოტა ხნით ჩემთან წამოხვალ. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ, თანახმა. ოღონდ ახლა ჩქარა მოემზადე, გვაგვიანდება.

როცა კინოდან ბრუნდებოდნენ, ზურაბმა შეამჩნია, თუ რა უხალისოდ მიჰყვებოდა ამხანაგი, როგორ რჩებოდა ფეხები უკან, მაგრამ პირობა შეახსენა და მანაც უარი ვეღარ უთხრა.



მუდამ დიდი ურადლებით არჩევს ბიბლიოთეკარი მერი გომელაური პატარბისათვის მიხაცემ ნაწარმოებებს.



ყოველთვის სახეა ბიბლიოთეკა ნორჩი
მკითხველებით. აი, ახლაც მოუთმენლად
ელიან იხიან წიგნების გამოცვლას.



პროცესული
ბიბლიოთეკა

— აბა, შენ აქ ჩამოჯექი და ყური
დამიგდე,—უთხრა ზურაბმა შინ შემოყვა-
ნილ ძალად სტუმარს.— მე ერთ რამეს წავი-
კითხავ, და არ თუ მოგეწონოს, მითხარი,
მაშინვე გავანებებ თავს. მერე, თუ გინდა,
ჭადრაკი ვითამაშოთ.

ოთარი დაჯდა, მაგრამ, ვაი ამ დაჯ-
დომას!— ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს
მწარე წამალი გადააყლაპესო. ზურაბმა კი
კარადიდან ერთი მოზრდილი წიგნი გა-
მოიღო, გადაშალა, შემდეგ ამხანაგს პირ-
დაპირ ჩამოუჯდა და უბრალოდ, მაგრამ
სასიამოვნო, ოდნავ მალალი ხმით დაიწყო:

„ამბობენ, ბლოელ აფშინა,
მინდოდაურის გვარისა...“

კითხულობდა ზურაბი, ამჯერად უკვე მერამდენედ,
ვაჟა ფშაველას პოემას— „გოგოთურ და აფშინას,“ კით-
ხულობდა და ხედავდა, რა სულგანაბული უგდებდა ყურს
ამხანაგი, როგორი გატაცებით ისმენდა გოგოთურისა
და აფშინას ერთმანეთთან პირისპირ შეყრის ამბავს,
როგორ ენთებოდა თვალები თანდათან.



— უჰ, შენი კირიმე, შენი! — შეჰყვირა ოთარმა
თავდავიწყებით, როცა გაბრაზებულმა გოგოთურმა თავ-
გასული აფშინა ცხენიდან გადმოიღო. ბოლოს კი, პოემა
რომ სულ ჩაათავა, მასპინძელი ჩუმმა სიხარულმა აიტა-
ნა: მან სტუმრის წამწამებზე ორი აციმციმებული ცვა-
რი დაინახა.

კარგა ხანს ისხდნენ იმ საღამოს ერთად თანაკლასე-
ლები. ზურაბმა რამდენიმე საკუთარი წიგნი გადმოუღო
ამხანაგს, მოკლედ უამბობდა მათ შინაარსს. დახარბეუ-
ლი ისმენდა ყოველივეს ოთარი. ბოლოს ესლა თქვა ფი-
ქრში წასულმა:

— აი, თურმე, რა ყოფილა! მაგრამ მე რომ შენსა-
ვით ამდენი წიგნი არა მაქვს, რა წავიკითხო...

— რას ამბობ, ბიჭო! — უთხრა გახარებულმა ზურაბმა,
— შენ კითხვა ისურვე თორემ, ისეთ ადგილას მიგიყ-
ვან, — რომელი წიგნიც გინდა, იმას მოგცემენ.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ორივე ამხანაგი
ერთად მიადგა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის
მეზობლად, პლენხანოვის პროსპექტზე გამომავალ ოთახის
კარებს, რომლის გვერდითაც აბრაზე შემდეგი წარწერა
ამოიკითხა ოთარმა — „ჯაფარიძის სახელობის სამეცნი-
ერო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება“. უკვირდა
ოთარს: — აქ რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია და ეს აქამდე
რატომ ერთხელ ვერ შევამჩნიეო.

ბიჭები შევიდნენ ბიბლიოთეკაში. ორსავე ოთახში
კარადები და თაროები წიგნებით იყო გაჭედილი. კედ-
ლებზე ლამაზად იყო გაფორმებული სტენდები: „ჩემი
საყვარელი წიგნი“, „ახალი წიგნები“; იქვე ეკიდა კილ-
ლის ვაზეთი „ნორჩი მკითხველი“. ოთარს თვალში ეტყა
წარწერა: „ყოველივე საუკეთესო, რაც ჩემში არის —
წიგნმა მომცა.“ ამ სიტყვებმა, რომლებიც მაქსიმ გორკის
ექუთვნის, დააფიქრა ბიჭუნა.

მალვინა ხარშილაძემ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ გა-
მოიტანა და მაშინვე გარს შემოეხვივნენ წიგნიხმოყვარე
ამხანაგები.

— დეიდა მერი, — მიმართა ზურაბმა მოაჯირს შიგნით. მყოფ ბიბლიოთეკარს. — აი, ეს ჩემი ამხანაგია, ჩაწერა სურს.

— ძალიან სასიამოვნოა, — მიუგო ბიბლიოთეკარმა. შემდეგ ოთარს მოუბრუნდა და გამოკითხვა დაუწყო, რა ჰქონდა წაკითხული, როგორი შინაარსის წიგნები იტაცებს უფრო. ოთარი სირცხვილით იწურებოდა, როცა აღიარა, რომ აქამდე მაინცდამაინც ძალიან არ უყვარდა კლასიკარეში წიგნების კითხვა.

— არა უშავს. ამერიკიდან ჩვენთან ივლი და ნახავ. როგორ შეგიყვარდება კითხვა, — ანუ გემა დამორცხვებული ბიჭუნა ბიბლიოთეკარმა. შემდეგ გამოართვა „თავდებობის ფურცელი“ და ბარათი გახსნა ოთარის სახელზე. ბოლოს კი ერთი წითელყდიანი წიგნი მიაწოდა.

— დღეს ეს წიგნი წაიღე, ათი დღის ვადით, მერე სხვას გაგატან. აბა, შენ იცი, გულდასმით წაიკითხე და მიაბე შენი შთაბეჭდილება. მხოლოდ, იცოდე, პირველ რიგში გაკვეთილები დაამზადე.

ეს ამბავი სულ ამ რამდენიმე თვის წინ მოხდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ოთარ ვახტანგიშვილის მიდრეკილებებსა და ჩვევებში, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. წაკითხულმა წიგნებმა ბევრ რამეზე ჩააფიქრეს ნორჩი მკითხველი, ახალი თვალეებით შეახედეს ქვეყანას. და, რაც მთავარია, გაკვეთილების დამზადებაც უფრო გაუადვილდა — წიგნებიდან მიღებული ცოდნა ეხმარებოდა; ტყუილად ხომარ არის ნათქვამი: წიგნი ცოდნის წყაროაო.

ოთარი ხარბად „ყლაპავდა“ მოთხრობებსა თუ პოემებს, რომლებსაც პირველ ხანებში „დეიდა მერი“ შეურჩევდა ხოლმე, მერე კი უკვე თვითონ მოითხოვდა, ესა და ეს წიგნი მომეცითო.

ბიბლიოთეკაში ყოველთვის მრავალი ბავშვი ფუსფუსებს; კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, სპეციალურ ალბომში თავიანთი შთაბეჭდილებები შეაქვთ, უშვებენ კედლის გაზეთს... ზოგიერთი მათგანი ოთართან ერთად სწავლობს მე-6 კლასში, ზოგს კი ისეც იცნობდა შორიდან, მაგრამ აქ მათ უფრო დაუახლოვდა, შეეთვისა. ოთარი ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულ ლიტერატურული წრის საქმნიანობაშიც ჩაერია და თავის მეგობარ ზურაბ გორდელაძესთან, ვასილ ცერცვაძესთან, ნათელა გოგიჩაიშვილთან. ჰამლეტ ყარალაშვილთან, ნოდარ ავალიშვილთან და სხვა მკითხველებთან ერთად მსჯელობს წაკითხულის გარშემო, უზიარებს თავის შეხედულებებს. მოზრდილებთან ერთად, აქვე ტრიალებენ ერთიციცქნა გოგონები: მაკა დგებუაძე და მანანა ლომიძე, რომლებსაც უკვე რამდენი რამ აქვთ წაკითხული! ამიტომაც ასე თავისუფლად, დალაგებულად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს. ყველა ამათ კი სიყვარულით ეპყრობიან და გულთბილ მზრუნველობას არ აკლებენ განყოფილების გამგე ლიზა ხელაშვილი, ბიბლიოთეკარები მერი გომელაური და ტატიანა სამთელაძე.

ყოველთვის, როცა ბიბლიოთეკიდან ახალი წიგნით ხელში, შინისაკენ მიიქარის ოთარი, ასე ჰგონია, თითქოს გვერდით საუკეთესო მეგობარი მიჰყვებოდეს. მართლაც, წიგნი ოთარისათვის სარკეთისო, განუყრელი მეგობარი გახდა, მეგობარი, რომელიც ყოველთვის დაეხმარება ცხოვრების გზაზე და არასოდეს უღალატებს.

პრეტენდენტი

— მე მსურს მსოფლიო ჩემპიონის ნახვა, — უთრა პატარა, შავვკრემანმა ბიჭუნამ მ. ბოტვინიკის მეუღლეს, როცა მიაქოთხა რიგაში დასახვენივლად მყოფ მსოფლიო ჩემპიონს.

— მას სძინავს. რა გნებავდათ?

— საშუაზაროა. მინდოდა მასთან რამდენიმე პარტია მეთამაშა. აი, თან ჰადრაციც მოვიტანე.

გულდაწყვეტილი მიშა ტალი ხანლში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით: აუცილებლად შეხვედროდა მ. ბოტვინიკს მატჩში.

ეს იყო 12 წლის წინათ. პატარა მიშამ თავის ოცნებას ფრთები შეახსა: წელს, მარტში, იგი შეეცილება მიხეილ ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის დაუნის გვირგვინში.

როგორ მიაღწია რიგელმა ბიჭუნამ ასეთ თვალსაჩინო წარმატებას? ეს ხომ ძალზე ძნელი საქმე იყო, რადგან სანუკვარი ოცნების ხორცსმისხისათვის მას უნდა გაეხწრო ჩვენი დროის უდიდესი გროსმაისტერების: პ. კერესის, ვ. სმიხლოვის, დ. ბრონშტეინის, ტ. პეტროსიანის, ბ. სპასკისა და სხვათათვის.

მიშა ტალი 12 წლის ასაკში ეზიარა ჰადრაციის ხელოვნებას რიგის პიონერთა სახანლში. იგი მუყაითად ეუფლებოდა ჰადრაციის საიდუმლოებას გამოცდილი მწვერთნელის ა. კობლენციის ხელშეწყობით. მიუხედავად ჰადრაციასადმი დიდი სიყვარულისა, ტალს არ ავიწყებოდა, რომ სკოლაშიც წარჩინებულად უნდა ესწავლა.

ამისათვის მან გამოიმუშავა დღის უმკაცრესი რეჟიმი, რომელსაც უდიდესი სიზუსტით ასრულებდა. ამიტომაც ჰადრაციან ერთად სწავლასა და მუსიკაშიც თვალსაჩინო წარმატებას აღწევდა.

21 წლის მ. ტალი ხდება გროსმაისტერი, ამთავრებს რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მაგრამ მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან? და ტალი ჯიუტად ლაშქრავს საჰადრაციო ხელოვნების მწვერვალებს. 1957 და 1958 წლებში იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელია. 1958 წელს პირველ ადგილს იკავებს მსოფლიო პრეტენდენტთა შესარჩევ ტურნირში. 1959 წელს კვლავ პირველია ციურბიხის საერთაშორისო ტურნირში და, ბოლოს, იმარჯვებს იუგოსლავიაში პრეტენდენტთა უმაგალითო ბრძოლაში, რომელშიც რვა გროსმაისტერი მონაწილეობდა.

ტალმა აალაპარაკა მსოფლიო. მისი თამაშის მანერამ მას მილიონობით თავჯანისმცემელი გაუჩინა. ჰადრაციის მოყვარულებმა მას „შავი ჯიქი“ შეარქვეს. ტალის კომპინაციებმა მოაჯადოვა ყველა.

ტალი ჰადრაციის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. მაგრამ არ გვეგონოთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტი ამით უყოჩობდეს, დადიოდეს ცხვირაწეული. იგი ყოველთვის თავაზიანი, გულკეთილი და მეგობრულია.

ინტერესი ბოტვინიკი — ტალის მატჩისადმი უზომოდ დიდია. ეს ინტერესი კიდეც მეტად იმიტომ იზრდება, რომ ტალი აქამდე ბოტვინიკს არასდროს შეხვედრია ჰადრაციის დაფაზე.

რით დამთავრდება ბოტვინიკი — ტალის ორთაბრძოლა? ამაზე შეუძლებელია გარკვეული პასუხის გაცემა. ბოტვინიკმა განაცხადა, რომ იბრძოლებს გამარჯვებისათვის. ტალმა ხუმრობით თქვა: როცა პატარა მივედი ბოტვინიკთან მატჩის სათამაშოდ, მაშინ უკეთესი შეხედულებებისა ვიყავი ჩემს თამაშზე, ვიდრე ახლა. მაშინ რომ დამთანხმებოდა ბოტვინიკი... თუმცა არც ახლაა გვიან!



სანდრო პალი-ქარიძე

პირველი დღე

1

მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა. ქარი ზუზუნით ეხეთქებოდა ქოხის კედლებს.

ქოხი ინჯღრეოდა და კედლები წიწკინებდნენ. ქარი-საგან აწეწილი ისლის სახურავიდან ჩვენს საწოლთან წვიმის წვეთები ეცემოდნენ. მესმოდა ქარისა და წვიმის შხუილი და საცოდავი მურიას წკმუტუნი.

ღედასთან ვიწევი. შიშისგან ვცახცახებდი. მეგონა, სახურავი ჩამოინგრეოდა და ქოხის ნანგრევებში მოვყვებოდი.

— შვილო, გენაცვალოს შენი ნენა, ნუ გეშინია, ღმერთოა მოწყალე, — მანუგეშებდა ღედა და ღმერთს შესთხოვდა:

— ღმერთო, უფალო, ნუ მოიძულე შენს გაჩენილ ქვეყანას, გვიხსენი უბედურებისაგან!

შიშისაგან კრინტს ვერ ვძრავდი... ღედა ყურში ჩამჩურჩულებდა:

— დაიბნე, გენაცვალოს შენი ნენა. ხვალ იალონზე უნდა ავდგეთ, შვილო, ამბობენ, — აღრე ამდგარსა კურდღელსა მწევარი ვერ დაეწევარ.

ამ სიტყვებზე ღედას ჩაეძინა, მე კი ფიქრებმა გამიტაცეს. — ხვალინდელი დღე ჩემი საოცნებო დღე იყო. ხვალ პირველად ვნახავდი სოფლის სკოლას და დავიწყებდი სწავლას.

2.

გამეღვიძა. მამლები ყიოდნენ. აღარ ისმოდა ქარის ზუზუნი და არც წვიმა წვეთავდა ჰერიდან. მურია ყეფდა. ღედა ამდგარიყო და ცეცხლი დაენთო...

არ ვიცოდი სად ვიყავი. თვლებში ხელი ამოვისვი.

— ნენა, ნენა! — წამოვიძახე და საწოლზე წამოვჯექი.

— რა იყო, შვილო, გენაცვალოს ჩემი თავი. აღევი, შვილო, აღევი, გათენდა კიდეც. გრძელი გზა გვაქვს გასავლელი... — მითხრა ღედამ, რომელიც ცეცხლისპირად მჰადს აცხობდა.

წლებულს მუხანალ „პიონირის“ ფურცლებზე თამენ იხილავთ ახალ ბანეროზილბას: „როცა მიყავ ახალგაზრდა...“ ამ ბანეროზილბის ფურცლებიდან თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების შესახებ ხშირად ბავისაზრებინ ჩვენი კვირის ღვაწლმოსილი ადამიანები: მცინეიანები, მფარლები, სახელბანეთმწული გუშაბი და კოლმეზრეები. ხალმგნების მოღვაწენი საორტსმენები... ახლა კი მოვსმენოთ პობტ სანდრო მული-შტკიპის, რომელიც ახალგაზრდობის წლებში თავდადებულად იბრძოდა ხალხის თავისუფლებისათვის.

საწოლიდან გადმოვბტი, ტანზე ხელად ჩავიცვი და ღედას გვერდით მოვუჯექი.

— ნენა, იცი, რა ვნახე წუხელის?

— რა ნახე, შვილო? სიზმარს ნახავდი, გენაცვალოს შენი ნენა.

— ჰო, სიზმარი ვნახე, სიზმარი. მერე, იცი, რა კაი სიზმარი ვნახე?!

— მიაშბე, შვილო, მიაშბე, რა ნახე! — ღედა გაოცებით შემომამჩერდა.

— ფართო ეზოში დიდი ოდა იდგა, თეთრად შეღებილი და წითლად დახურული, ეზოში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ... ეზოში შევედი.

„აგია, შვილო, ჩვენი სოფლის სკოლა, აქანე უნდა ისწავლო“, — მითხარი და იქვე ხის ძირას შევჩერდი.

ჩვენს დანახვაზე ბავშვებმა თამაშს თავი დაანებეს და შემოგვეხვივნენ. ჩვენი მეზობლის ბიჭებიც იქ იყვნენ. სიმონის ბიჭმა, გოგიამ, დამინახა თუ არა, ჩემსკენ გამოექანა, მიჩქმიტა და გაიქცა. მე ავტირდი...

მაღალი ტანის კაცი მოვიდა.

— შვილო, ნუ ტირი, გენაცვალე, აი ჩვენი მასწავლებელიც, — ჩამჩურჩულე და მის წინ დამაყენე...

მასწავლებელი შენ მოგესალმა, მე კი თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა და მითხრა:

— ნუ ტირი, ბიჭიკო!.. გოგიას — დაუძახა, ყური აუწია და შუა ეზოში დაიარქა, შემდეგ მომიბრუნდა:

— შენი სახელი?

— ანდრია, — ვუპასუხე.

— არა, ბატონო მასწავლებელო, სანდრო ჰქვია. ანდრიას შინაურულად ვეძახითო, — უპასუხე მასწავლებელს და ქოჩორი გამისწორე.

— სწავლა გინდა? — ისევ შემეკითხა.

— კი! — მორცხვად ვუპასუხე და თავი დავღუწე.

— ყოჩაღ, კაი ბიჭი ყოფილხარ, — ხელი მომკიდა და ოთახში შეგვიყვანა:

— მიირთვიო! — გვითხრა მან და სუფრასთან დამსვა. შენც გვერდით მომიჯექი. სუფრა ყველაფრით სავსე იყო, — რა გინდა სულო და გულო! ჰამა მინდოდა, მაგრამ მრცხვენოდა, ხელს ვერაფერს ვკიდებდი.

— შენ ჩვენთან დარჩები, ბიჭიკო, ისწავლი, ბავშვებში ითამაშებ, საკმელს გაკმევთ და ახალ ტანისამოსსაც შეგიკერავთ, ღედა კი სახლში წავა და ხშირად გინახულეებს, — მითხრა მასწავლებელმა.

— ჰო, შვილო, დარჩი, დარჩი! შენ იცი, როგორ ისწავლი, — მითხარი და წასვლა დააპირე.



— ნენა, ნენა! — დავიყვირე და კალთებზე ჩამოგეკიდე... ამ დროს გამეღვიძა.

— კაი და კეთილია მაგი, შვილო, ღმერთმა კარგად აგისრულოს. ნეტავი სიზმრის ახსნა მაინც ვიცოდე, — მითხრა დედამ და წამოღდა.

ცეცხლიდან გადმოღებულ მჭადი გარეცხა და ჯამზე დამიტეხა. ქობის კარი გააღო. შურია წკმუტუნით შემოვარდა ქობში და გვერდით დამისკუპდა.

ცოტა ხნის შემდეგ მე და დედამ სკოლისაკენ გავწიეთ.

არაჩვეულებრივი დილა იდგა. არც ქარი ქროდა და არც წვიმდა. დილის ნიავიც კი არ სისინებდა. ამომავალმა მზემ ჯერ აჭარის მთის ქოჩორი დავარცხნა და შემდეგ სხივებში გახვია მიდამო. ღამით ნაბერტყი ხის ტოტები, დაჯლეტილი მცენარეები და დაბეჭილი ყურძნის მტევნები მზის სხივებზე სიცოცხლის ნიშანს იბრუნებდნენ. ღამით ნაწვიმარი შარავნა ისე იყო ატალახებული, რომ გავლა არ შეიძლებოდა. ჩვენ ფრთხილად ვადავდიოდით სხვის ეზოებზე. სკოლამდე ორი სოფელი უნდა გავგველო. მეორე სოფლის საზღვარზე პატარა რელიეზი ჩამოდიოდა, რომელშიაც წყალი მხოლოდ წვიმის დროს ჩადგებოდა ხოლმე. წინა ღამით კი ისე აღიდებულყო, რომ მასზე გადებული მოხრილი ხეც კი წაეღო.

— ნენა, ახლა რა უნდა ვქნათ? — შევეკითხე დედას, რომელიც ფიქრობდა, როგორ გავსულიყავით აღიდებული წყალში.

— მოიცა, შვილო, ხომ ხედავ, უკან ვილაც მეურმე მოდის, ვთხოვოთ და გავვიყვანს, — თქვა მან. ამ დროს შურემც მოგვიანლოვდა. მეურმე ხარებს შოლტის ტყლანით მორეკავდა.

— დილა მშვიდობისა, ნინო, საით გასწიე ამ დილა-აღრიან? — მიესალმა დედაჩემს მეურმე.

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა. კლასში მივდივარ, ბატონო ივანე. აი ბალანაი უნდა მივალეზინო, — უპასუხა დედამ.

— კაი გიქნია, ძალიან კაი. უსწავლელობა ჩვენს



დროში არ ვარგა. ჩამოჯექით ამ ურემზე, თვარა ამხელა წყალში ფეხით ვერ გახვალთ.

მეურმემ მომიკიდა ხელი და ურემზე დამსვა. დედაც ურემზე ამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

ღელეზე რომ გავვდივით, ურმიდან ჩამოსვლა დავაპირეთ.

— იყავით, იყავით, ურემს თქვენ არ დაამძიმებთ, — გვითხრა მეურმემ. გზაში დედა და მეურმე განუწყვეტელივ ლაპარაკობდნენ: დედა უამბობდა თავის გაჭირვებაზე, მეურმე — მოსავალზე და სხვა ათას რამეს... სკოლის ეზოს რომ მივუახლოვდით, დედამ მეურმეს მადლობა გადაუხადა და ურმიდან ჩამოვბრუნდით. სკოლის ეზოში რომ შევედით, თვალწინ წარმომიდგა წინა ღამით სიზმარში ნახული. სკოლის შენობა სწორედ ისეთივე იყო, თეთრად შეღებილი და წითლად დახურული, როგორც სიზმარში ვნახე, ოღონდ ეზოში ბავშვებს ვერ ვხედავდი, აღრე იყო და ბავშვები ჯერ არ მოსულიყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ბავშვების კისკისი, ისინი დარბოდნენ, ჭიდაობდნენ და ერთმანეთს ახტებოდნენ.

მე ვიდექი დედასთან და ვფიქრობდი: სკოლაში უნდა ვიარო, ვისწავლო, მაგრამ რა არის სწავლა?

უწინაც გამეგონა „დედა-ენის“ შესახებ, მაგრამ არ ვიცოდი, რა იყო „დედა-ენა“. მახსოვს, ერთხელ მეზობლის ბიჭს შევესწარი, როცა წიგნს კითხულობდა. იხდა ხის ძირას და მუხლზე წიგნი დაედო. მივუახლოვდი და თავზე წავადექი. ვერ მხედავდა...

— იიი, ააა, ააა, იიი, — განუწყვეტელივ იმეორებდა. გაკვირვებით დავჩერებოდი მას. ვერ გავიგე, რას ამბობდა. როცა თავი ასწია, ბლევრით შემომხედა, შემეშინდა და გავიქეცი.

როცა სახლში მივედი, დედაჩემს ვკითხე:

— ნენა, მითხარი, რაია, იიი, ააა, ააა, იიი-მეთქი. მან ამიხსნა და ნაცარში ჯოხით დამიხაზა „ა“. — ეს, შვილო, „ანია“, „ბ“ — ეს „ბანია“, „გ“ — ეს „განიაო“... ამ ფიქრებში ვიყავი, რომ დედამ ხელი მომიკიდა და მითხრა:

— წავიდეთ, შვილო! ჩვენ შევედით სკოლის ერთ ოთახში, სადაც მაგიდას უსხდნენ მასწავლებლები.

— შენი გვარი? — შემიკითხა ერთი მათგანი. მე ვუპასუხე.

— თვლა იცი?

— ვიცი.

— აბა, დათვალე! —

მითხრა მან.

მე ოცამდე დავთვალე.

— კმარა, მიღებული ხარ, — თქვა ერთმა მასწავლებელმა და ფურცელზე რაღაც დასწერა.

სიხარულისაგან გული ამითამაშდა.

დედას თვლები გაუბრწყინდა.

— უნდა შეიძინოთ „დედა-ენა“, რეგული და ფანქარი, — თქვა მასწავლებელმა.

— კი, ბატონო, დღესვე შევიძენ! — თქვა დედამ და ოთახიდან გამოვედით.

— წავიდეთ, შვილო, „დედა-ენა“ ვიყიდოთ! — მითხრა დედამ. იქვე, კანცელარიის ახლოს, დუქანში, წიგნები და სასწავლო ნივთები იყიდებოდა.

— რა გნებავს? — შევიკითხა დედას მედუქნე, როცა დუქანში შევედით.



დასავლეთ ალფირში, აინ ელ ჰადიარის მთის ფერდობზე ბენ-მურადის გლეხური ქოხი იდგა. უოველ დღით, ცა რომ მტრედისფრად აკიაფდებოდა, შრომისმოყვარე ბენ-მურადი და მისი უფროსი ვაჟები ცხვრის ფარას წინ გაირეკავდნენ და გვიან საღამომდე აძოვებდნენ. სახლში დარჩენილი დედა, პატარა ძმა და დები — რაშიდა და აიშა კი საოჯახო საქმეებით იყვნენ ხოლმე გართულნი.

ბენ-მურადისა და მისი ოჯახის მთელი ავლადიდება, მხოლოდ ის პატარა ცხვრის ფარა იყო, რომელსაც ასე გულმოდგინედ უვლიდნენ ბენი და მისი ვაჟიშვილები. ცხვარი იყო მათი მარჩენალი, მათი გამომკვებავი და ჩამცმელი, მაგრამ ისინი ბედს როდი ემდუროდნენ, თავანთი სამყოფი ყველაფერი ჰქონდათ: სახლი, კარმიდამო, სიმშვიდე და უკეთესი მომავლის იმედი, მაგრამ...

...ალფირელი გლეხი ბენ-მურადი დე გოლის არმიის ჭარისკაცებს მხარში ამოუდგა და საფრანგეთის თავისუფლებისათვის იბრძოდა. მან 1944 წელს მონტე კაზინოსთან გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში მარჯვენა მკლავი დაჰკარგა. მძიმე იყო მისი ხვედრი, მაგრამ ვაჟკაცი ვაჟკაცურად შეხვდა ამ ამბავს. მწყემსობას ცალი ხელითაც შეეძლებო, — ამ იმედით მშობლიურ აინ ელ ჰადიარის მთას მიაშურა, თავის ცოლშვილში მივიდა.

ალფირის მკვიდრთ ახლა ახალმა სუსხმა წამოუჭროლა, მოვიდნენ ფრანგი კოლონიზატორები და ალფირის ბევრი სოფელი მიწასთან გახწორდა, ნანგრევებად იქცა მრავალი ქალაქი, დაიღუპა 800.000 უდანაშაულო ადამიანი, დაობლდა ათასობით ბავშვი, აინ ელ ჰადიარის მთის ფერდობზე საშინელება დატრიალდა, ბენ-მურადსა და მის უფროს ვაჟებს მხეცური წამებით ამოხადეს სული ფრანგმა კოლონიზატორებმა. დედა და პატარა, სამი თვის ძმა აუტანელმა შიმშილმა იმსხვერპლა. ბენ-მურადის მრავალრიცხოვანი ოჯახისაგან, რალაც სასწაულით, მხოლოდ ორი გოგონა, რაშიდა და აიშა, გადაარჩა. კოლონიზატორების სიმხეცეს, ობლად დარჩენილი ბავშვები დიდხანს იმალდებოდნენ მთებში გახიზნულნი, და რომ ბედნიერ შემთხვევას არა, უთუოდ ისინიც დაიღუპებოდნენ. შიმშილისგან ღონეშიდილი ბავშვები ალფირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა იპოვეს და ობლებს სითბო და აღერხი არ მოაკლეს.

აქ მოთხრობილი ამბავი ერთ-ერთი იმ მრავალ, შემადარწუნებელ ფაქტთანია, რომელიც ფრანგმა კოლონიზატორებმა ჩაიდინეს ალფირში. რაშიდას და აიშას ბედი ძალიან წააგავს „მარსას რესპუბლიკის“ მკვიდრთა ბედს.

ახეთი რესპუბლიკის არსებობა, ჩვენი ურუნალის ბევრ მკითხველს ალბათ არც კი გაუგონია; ეს გასაგებიცაა. „მარსას რესპუბლიკა“ ეწოდება ბავშვების თავშესაფარს, რომელიც ალფირის პროფესიულმა კავშირმა მოაწყო ხმელთა შუა ზღვის სანაპიროზე, ტუნისის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქში. — მარსაში. „რესპუბლიკა“ ერთ ძველ შენობაშია მოთავსებული, მისი მოქალაქენი კი ლტოლვილი, უპატრონო ბავშვები არიან.

ორგანიზატორები, რომლებიც რესპუბლიკას ფინანსურად ეხმარებიან, ძალზე ლარიზნი არიან და, ცხადია, ბავშვებს ბევრი რამ აკლიათ.

თავდაპირველად პატარა ლტოლვილებს არა თუ სასკოლო მერხები, საწოლები და ღოგინიც კი არ ჰქონდათ, სკოლაში მხოლოდ ერთი მაგიდა იდგა, რომლის ირგვლივ, იატაკზე ფეხმორთხმული ისხდნენ ბავშვები და ისე უსმენდნენ მასწავლებელს.

„რესპუბლიკას“ თავისი მთავრობა ჰყავს. მთავრობის თავმჯდომარე ახალგაზრდა ალფირელი პედაგოგია. მინისტრები კი თვითონ ბავშვები არიან. შინაგან საქმეთა მინისტრი თავის მოადგილეებთან ერთად რესპუბლიკის დისციპლინაზე ზრუნავს. შრომის მინისტრი სხვადასხვა დავალებებს ანაწილებს და თვალყურს ადევნებს ამ დავა-

— „დედა-ენის“ წიგნი მინდა, რა ღირს? — შეეკითხა დედა და ჭინჭში გამოსცვილ ფულის გახსნას შეუდგა.

— სამი შაური, — უპასუხა მედუქნემ.

დედა დიდხანს ითვლიდა ფულს. მედუქნემ გადმოიღო წიგნი და მისცა.

დედას ხელში ფული ეჭირა და მედუქნეს არ აძლევდა. მის სახეზე შეწუხება ამოვიკითხე. დედა მიუახლოვდა მედუქნეს და თხოვნით მიმართა:

— ღმერთი ცოლშვილს გიციოცხლებს, ხელამდე სამი კაპეიკი უნდა მანდო, სამ შაურს სამი კაპეიკი აკლია.

— დედიჯან, ერთი კაპეიკიც არ შემიძლია განდო. ხომ იცი, სამ კაპეიკს სამი კაპეიკიც რომ დავადევა, ექვსი კაპეიკი იქნება, — ჩაილაპარაკა მედუქნემ და სალაროში ფულის თვლას შეუდგა. ამ დროს დუქანში ის მასწავლებელი შემოვიდა, რომელმაც სახელი და გვარი მკითხა.

მან გაიგო რაში იყო საქმე, წამსვე ჯიბიდან ფული ამოიღო და მედუქნეს მისცა.

— ეს წიგნი შენთვის მიჩუქნია, ოლონდ, ბეჯითად ისწავლე, — მითხრა მან.

დედამ სიხარულისაგან ხელზე კოცნა მოუნდომა. ჩვენ აღფრთოვანებული გამოვედით დუქნიდან. მე დედის წინ ხტომით მივბრბოდი, „დედა-ენას“ პაერში ვატრიალებდი და ხმამაღლა ვყვიროდი:

— იიი, ააა, ააა, იიი...

სახლში რომ დავბრუნდით, მზე ჩადიოდა. ეზოში მურია შემოგვეგება. მე არ ვგრძნობდი არც შიმშილს და არც დაღლას. ის დღე მეხსიერებაში ამოუშლელია — პირველი დღე სკოლაში შესვლისა და სწავლის დაწყებისა.

ნან. დ. ხახუტაშვილისა

რესპუბლიკა

ღებთა შესრულებას. ჭანმრთელობის მინისტრს უველაზე მეტი სა-
ქმე აქვს: იგი თოთხმეტი წლისაა, თვითონ ასრულებს საავადმყო-
ფოში მომვლელის მოვალეობას.

რესპუბლიკას თავისი „პარლამენტი“ ჰყავს, რომელიც კვირაში
ერთხელ იკრიბება და, როგორც წესი, ცხარე კამათი იმართება. ერ-
თხელ დიდი დავა ატუდა განათლების საკითხზე, კერძოდ, სასკოლო
არდადეგების შესახებ. რესპუბლიკის მოქალაქეებმა სასტიკი პრო-
ტესტი განაცხადეს: „ჩვენ არ გვინდა არდადეგები, იგი ჩვენთვის
დროს დაკარგვაა და სხვა არაფერი, ჩვენ ისედაც ჩამორჩენილები
ვართ სწავლაში და უმჯობესია არდადეგების დღეები სწავლას მო-
ვანდომოთო“. რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა დათმო-
ბაზე, წასულიყო და კანონი, რომელიც არდადეგებს ითვალისწინებ-
და, გაუქმებულ იქნა.

მწარუნელობას და უურადლებას არ აკლებდნენ ალჟირელი პე-
დაგოგები „რესპუბლიკის“ სკოლის მოსწავლეებს, ასწავლიან არა-
ბულსა და ფრანგულ ენებს, მათემატიკას, გეოგრაფიას, ისტორიას;
ცდილობენ გააღვივონ მათში ჰუმანური და პატრიოტული გრძნობა.
შრომისადმი სიუვარული, მისცენ პოლიტიკური განათლება.

„მარსას რესპუბლიკის“ სკოლაში ალჟირელ პედაგოგებს მხარ-
ში ამოუდგა ფრანგი მასწავლებელი მონსიენორ უანი. იგი ძალიან
უყვართ პატარებს და ახლა „რესპუბლიკის“ უველა მოქალაქემ
კარგად იცის, რომ თვით ფრანგებშიც კი მოიძებნება მათი გულშე-
მატიკივარი აღამიანები, რომლებიც თანაგრძნობას უცხადებენ გმირ
ალჟირელ ხალხს და მათთან ერთად ცდილობენ ამ მეტად უსამარ-
თლო სისხლისღვრის შეწყვეტას.

მთავრობის თვმჭდომარის მაგიდას გვერდს ისე ვერ ჩაუვლით.
რომ მასზე რამდენიმე ერთნაირი წიგნი არ შენიშნოთ. „ეს
მაკარენკოა, — ამბობს ახალგაზრდა, ალჟირელი პედაგოგი. — იგი
ჩვენი მაგიდის წიგნია, უურადლებით ვკითხულობთ და ვსწავლობთ
მას, თუნდაც იმიტომ, რომ გვინდა ჩვენი ბავშვები გავზარდოთ ახა-
ლი, თავისუფალი სამშობლოს მშენებლებად. ამ საქმეში კი მე არ
შეგულდება სხვა, მაკარენკოზე უკეთესი მასწავლებელი“.

„მარსას რესპუბლიკაში“ შეფარებული პატარა ალჟირელების
ბედი მსოფლიოს უველა ქვეყნის ბავშვებს აინტერესებთ. გერმანი-
ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის თუ სხვა ქვეყნის



სწავლას მოწყურებული რაშიდა და აიშა არც ერთ წუთს
არ კარგავენ და ყოველნაირად ცდილობენ არ ჩამორჩნენ თა-
ვიანთ თანატოლებს.



ალჟირელმა ლტოლვილმა ბავშვებმა ტუნისის ბანაკში თა-
ლა-კაზერინის გამოქვაბულში შეაფარეს თავი. მალე ისინი
„მარსას რესპუბლიკის“ სრულუფლებიანი წევრები გახდებიან.

პიონერები ალჟირელ თანატოლებს „მარსას რესპუბლიკაში“ უგ-
ზავნიან წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს, ფულს და სხვა საჩუქრებს.
ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა
„ვოქნაოსტმა“ მოწოდებით მიმართა თავის მკითხველებს: დახმა-
რება აღმოუჩინონ ალჟირელ ბავშვებს. ეს მოწოდება სიხარულით
იქნა მიღებული და სულ მალე წერილი წერილს დაედევნა. იწერე-
ბიან მოხუცები და ახალგაზრდები, სტუდენტები და მოსწავლეები,
მოსამსახურეები და მუშები, ბავშვები, პიონერები, რომლებიც თა-
ნაგრძნობას უცხადებენ გმირ ალჟირელ ხალხს და ფულად დახმა-
რებას უწევენ. აი, რას იწრებიან დრეზდენის ერთ-ერთი სკოლის
მოსწავლეები:

„ძვირფასო რედაქცია! ჩვენ გულმოდგინედ ვაგროვებდით
ქალაქს, მაკულატურასა და ბოთლებს. ჩაბარებისას 30 მარკა მი-
ვიღეთ, რასაც უკლებლივ ვუგზავნით ალჟირელ ბავშვებს. ჩვენ
გულწრფელად ვუსურვებთ, შეწყდეს მათთან სისხლისმღვრელი
ომი, — ისინი ჩვენსავით ბედნიერნი და მხიარულნი უნდა იყვნენ“.

დრეზდენელ მოსწავლეებს არც ლეტცილინგენის მესამეკლასილე-
ბი ჩამორჩნენ. მათაც შეაგროვეს ფული და წერილთან ერთად რე-
დაქციას გაუგზავნეს. აი მათი წერილიც: „ჩვენ ლეტცილინგენის მე-
სამე კლასის მოსწავლეები ვართ. ამას წინათ მასწავლებელმა გვი-
ამბო ალჟირელი ბავშვების შემადრწუნებელი ამბავი. მსოფლიოს
უველა ქვეყნის ბავშვები ხომ მეგობრობის ხელს უწვდიან ერთმა-
ნეთს და ჩვენც გვინდა სხვებთან ერთად დავეხმაროთ ალჟირელ
ლტოლვილებს. გიგზავნით 22 მარკას, შეიძლება ეს ძალიან მცირეა,
მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მაინც გამოადგებათ“.

ლ. საღრაძე

რესპუბლიკა

ლებათა შესრულებას. ჭანჭირთა მინისტრის უკველად მეთი სა-
ქმე აქვს: იგი თითხმეტი წლისაა, თვითონ ასრულებს საავადმყო-
ფოში მომვლელის მოვალეობას.

რესპუბლიკას თავისი „პარლამენტი“ ჰყავს, რომელიც კვირაში
ერთხელ იკრიბება და, როგორც წესი, ცხარე კამათი იმართება. ერ-
თხელ დიდი დავა ატუდა განათლების საკითხზე, კერძოდ, სასკოლო
არდადეგების შესახებ. რესპუბლიკის მოქალაქეებმა სასტიკი პრო-
ტესტი განაცხადეს: „ჩვენ არ გვინდა არდადეგები, იგი ჩვენთვის
დროს დაკარგვაა და სხვა არაფერი, ჩვენ ისედაც ჩამორჩენილები
ვართ სწავლაში და უმჯობესია არდადეგების დღეები სწავლას მო-
ვანდომოთ“. რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა დათმო-
ბაზე. წასულიყო და კანონი, რომელიც არდადეგებს ითვალისწინებ-
და, გაუქმებულ იქნა.

მწარუნელობას და უურადლებას არ აკლებდნენ ალჟირელი პე-
დაგოგები „რესპუბლიკის“ სკოლის მოსწავლეებს, ასწავლიან არა-
ბულსა და ფრანგულ ენებს, მათემატიკას, გეოგრაფიას, ისტორიას;
ცდილობენ გააღვივონ მათში ჰუმანური და პატრიოტული გრძნობა.
შრომისადმი სიუვარული, მისცენ პოლიტიკური განათლება.

„მარსას რესპუბლიკის“ სკოლაში ალჟირელ პედაგოგებს მხარ-
ში ამოუდგა ფრანგი მასწავლებელი მონსიენორ უანი. იგი ძალიან
უყვარტ პატარებს და ახლა „რესპუბლიკის“ უველა მოქალაქემ
კარგად იცის, რომ თვით ფრანგებშიც კი მოიძებნება მათი გულშე-
მატყვიარი აღამიანები, რომლებიც თანაგრძნობას უცხადებენ გმირ
ალჟირელ ხალხს და მათთან ერთად ცდილობენ ამ მეთად უსამარ-
თლო სისხლისღვრის შეწყვეტას.

მთავრობის თვმჭდომარის მაგიდას გვერდს ისე ვერ ჩაუვლით.
რომ მასზე რამდენიმე ერთიანი წიგნი არ შენიშნოთ. „ეს
მაკარენკოა, — ამბობს ახალგაზრდა, ალჟირელი პედაგოგი. — იგი
ჩვენი მაგიდის წიგნია, უურადლებით ვკითხულობთ და ვსწავლობთ
მას, თუნდაც იმიტომ, რომ გვინდა ჩვენი ბავშვები გავზარდოთ ახა-
ლი, თავისუფალი სამშობლოს მშენებლებად. ამ საქმეში კი შე არ
შეგულდება სხვა, მაკარენკოზე უკეთესი მასწავლებელი“.

„მარსას რესპუბლიკაში“ შეფარებული პატარა ალჟირელების
ბედი მსოფლიოს უველა ქვეუნის ბავშვებს აინტერესებთ. გერმანი-
ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის თუ სხვა ქვეუნის



სწავლას მოწყურებული რამიდა და აიშა არც ერთ წუთს
არ კარგავენ და ყოველნაირად ცდილობენ არ ჩამორჩნენ თა-
ვიანთ თანატოლებს.

პიონერები ალჟირელ თანატოლებს „მარსას რესპუბლიკაში“ უგ-
ზავნიან წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს, ფულს და სხვა საჩუქრებს.
ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა
„ვოქნაოსტმა“ მოწოდებით მიმართა თავის მკითხველებს: დახმა-
რება აღმოუჩინონ ალჟირელ ბავშვებს. ეს მოწოდება სიხარულით
იქნა მიღებული და სულ მალე წერილი წერილს დაედევნა. იწერე-
ბიან მოხუცები და ახალგაზრდები, სტუდენტები და მოსწავლეები,
მოსამსახურეები და მუშები, ბავშვები, პიონერები, რომლებიც თა-
ნაგრძნობას უცხადებენ გმირ ალჟირელ ხალხს და ფულად დახმა-
რებას უწევენ. აი, რას იწრებიან დრეზდენის ერთ-ერთი სკოლის
მოსწავლეები:

„ძვირფასო რედაქცია! ჩვენ გულმოდგინედ ვაგროვებლით
ქალაქს, მაკულატურასა და ბოთლებს. ჩაბარებისას 30 მარკა მი-
ვიღეთ, რასაც უკლებლივ ვუგზავნით ალჟირელ ბავშვებს. ჩვენ
გულწრფელად ვუსურვებთ, შეწყდეს მათთან სისხლისმღვრელი
ომი, — ისინი ჩვენსავით ბედნიერნი და მხიარულნი უნდა იყვნენ“.

დრეზდენელ მოსწავლეებს არც ლეტცილინგენის მესამეკლასილე-
ბი ჩამორჩნენ. მათაც შეაგროვეს ფული და წერილთან ერთად რე-
დაქციას გაუგზავნეს. აი მათი წერილიც: „ჩვენ ლეტცილინგენის მე-
სამე კლასის მოსწავლეები ვართ. ამას წინათ მასწავლებელმა გვი-
ამბო ალჟირელი ბავშვების შემადრწუნებელი ამბავი. მსოფლიოს
უველა ქვეუნის ბავშვები ხომ მეგობრობის ხელს უწვდიან ერთმა-
ნეთს და ჩვენც გვინდა სხვებთან ერთად დავემართოთ ალჟირელ
ლტოლივლებს. გიგზავნით 22 მარკას, შეიძლება ეს ძალიან მცირეა,
მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მაინც გამოადგებათ“.

ლ. საღრაძე



ალჟირელმა ლტოლივებმა ბავშვებმა ტუნისის ბანაკში თა-
ლა-კაზერინის გამოქვაბულში შეაფარეს თავი. მალე ისინი
„მარსას რესპუბლიკის“ სრულუფლებიანი წევრები გახდებიან.



ყველა გზა რომისაკენ მიდის...

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, იტალიის დედაქალაქი „მარადიული“ რომი, სტუმართმოყვრულად გაუღებს კარებს ათიათასამდე სპორტსმენს—გაიხსნება XVII ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიდად მონაწილეთა საზეიმო სვლით გაიხსნება. ახალაშენებული ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნებს ჩაუვლიან რჩეულთა შორის რჩეულნი, ჩემპიონები და რეკორდსმენები.

პარადს, ჩვეულებისამებრ, საბერძნეთის სპორტსმენები გაუძღვებიან წინ, რადგან, ტრადიციის მიხედვით, რომელ ქვეყანაშია არ უნდა ტარდებოდეს ოლიმპიდად, საზეიმო მსვლელობას ყოველთვის საბერძნეთის სპორტსმენები უძღვიან ხოლმე. ეს იმიტომ, რომ საბერძნეთი ოლიმპიური თამაშების სამშობლოა—პირველი ოლიმპიური თამაშები ჯერ კიდევ სამაათისი წლის წინათ, სწორედ დღევანდელი ბერძნების წინაპრებმა—ელინელებმა ჩაატარეს.

საზეიმო სვლას იტალიელები დაასრულებენ, რადგან კოლონის ბოლოს ყოველთვის „მასპინძლები“ უნდა იდგნენ ხოლმე.

ელინელები დიდად აფასებდნენ სილამაზეს, უყვარდათ ძლიერი და ჯანძრთელი ადამიანები. მკირე ასაკიდანვე აჩვევდნენ ისინი ბავშვებს ფიზიკურ ვარჯიშებს, აჯიბრებდნენ მათ სირბილსა და კიდაობაში.

საბერძნეთი მრავალ პატარა სახელმწიფოდ იყო დაყოფილი; ამიტომ პირველ

ხანებში შეჯიბრებები ყველგან ცალ-ცალკე იმართებოდა, მოგვიანებით კი ფართო ხასიათი მიიღო და მასში საბერძნეთის თითქმის ყველა სახელმწიფო მონაწილეობდა. ეს შეჯიბრებები ოლიმპის მთის ძირში მდებარე, ფართოდ გაშლილ ველზე ეწყობოდა, ამიტომ მათ „ოლიმპიური თამაშები“ ეწოდა.

ბერძნების დაუშრეტელმა ფანტაზიამ მრავალი ლეგენდა და მითი შექმნა „ოლიმპიური თამაშების“ წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთ თქმულებაში შემდეგია მოთხრობილი: „სამაათსაზე მეტი წლის წინათ საბერძნეთის სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ომებით შემფოთებულმა ელადის მეფემ იფიტმა, სპარტას მმართველს ლიკურგს წინადადება მისცა საზავო ხელშეკრულება დაედოთ. ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა შეწყდეს სისხლისღვრა და ომები, ხოლო მის ნაცვლად უმჯობესია ჩატარდეს დიდი დღესასწაულები, რომლებიც დაამეგობრებს ხალხებს, სისხლისღვრისა და შულის ნაცვლად სიყვარულსა და სიხარულს დაამკვიდრებს ბერძნებს შორის“.

ამის შემდეგ ყოველ მეოთხე წელს იმართებოდა ოლიმპიური თამაშების სახელით ცნობილი ბერძენი ხალხის დიდი სახალხო დღესასწაულები. ელადის მიწა წმიდა ადგილად გამოაცხადეს, ხელშეკრულებების ტექსტი კი იმ ბადროზე ამოკვეთეს, პირველ ოლიმპიდადაზე ყველაზე შორს რომ იქნა გატყორცნილი.


ეს ბადრო, როგორც დოკუმენტი, შემდეგ ათას წელზე მეტ ხანს ინახებოდა ზევსის ტაძარში. ოლიმპიური თამაშების დრო რომ მოახლოვდებოდა, მთელ საბერძ-

ნეთში იგზავნებოდნენ მკრივეები, ისინი ხალხს ატყობინებდნენ ოლიმპიადის დაწყების დროს და შეჯიბრებისაკენ მოუწოდებდნენ მათ.

ოლიმპიურ თამაშებს თავისი კანონები და წესები ჰქონდა. შეჯიბრება მონაწილეთა საზეიმო ფიციით იწყებოდა. „პირველობისათვის ბრძოლა კეთილსინდისიერად უნდა წარმოებდესო“, ნათქვამი იყო ფიცში. კანონი სასტიკად სჯიდა მას, ვინც ფიცს დაარღვევდა და არაკეთილსინდისიერი გზით შეეცდებოდა პირველობის მოპოვებას.

ერთ ხანს ოლიმპიადის მონაწილენი მხოლოდ მოკლე მანძილზე, ერთ სტადიაზე სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტადია დაახლოებით 192 მეტრს უდრიდა. სხვათა შორის, აქედან წარმოიშვა სიტყვა სტადიონი. თამაშების პროგრამა თანდათან მრავალფეროვანი ხდებოდა: შემოღებული იქნა კიდაობა, შუბის ტყორცნა, ჯირითი და იარაღსმულ ძეგმართა სირბილი. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადებზე, სპორტული შეჯიბრებების გარდა, პოეტებისა და ხელოვანთა კონკურსებიც იმართებოდა. ერთ-ერთ ასეთ კონკურსში გამოჩენილმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემაც მიიღო მონაწილეობა და გამარჯვებაც მას ხვდა წილად. მონაწილეთა შორის ხშირად იყვნენ ძველი საბერძნეთის გამოჩენილი მოღვაწეები. საბრძოლო ეტლებით შეჯიბრში, მაგალითად, მონაწილეობას ლებულობდა ალექსანდრე მაკედონელის მამა ფილიპე, ხოლო საქვეყნოდ განთქმული მათემატიკოსი პითაგორა ოლიმპიადის ჩემპიონი იყო... კრიგში.

ოლიმპიური თამაშები დიდ ინტერესს იწვევდა საბერძნეთის მოსახლეობაში. ყვავილებით მორთული და საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი სიმღერითა და ცეკვით მიემართებოდა





ოლიმპის მთისაკენ. ზოგიერ, თი ჯერ კიდევ წინა საღამოს-იკავებდა მოხერხებულ ადგილს და მთელი ღამე მოთმინებით ელოდა გათენებას. ძველი ბერძენი მწერალი ლუკიანე, რომელიც ხუთჯერ დასწრებია ოლიმპიადას, ამბობს: „ვერც მზე, ვერც წყურვილი, ვერც მტერი და სივიწროვე, ვერ სტეხდა მაყურებელთა მოთმინებასო“. სპორტის დღევანდელ გულშემატკივართა მსგავსად, ისინიც, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეჯიბრზე მოხვედრილიყვენ. ათასობით ადამიანი იდგა მცხუნვარე მზის ქვეშ და შეძახილებით ამხნევებდა თავის საყვარელ ფალავანს. ყვირილითა და აუოზაურით გამოხატავდა თავის სიხარულსა და აღშფოთებას.

სპორტის დიდი გულშემატკივარი იყო გამოჩენილი ფილოსოფოსი სოკრატე-იგი იმდენად გაუტაცებია ოლიმპიურ თამაშებს, რომ ათენიდან ჩამოსულა და ორასზე მეტი კილომეტრი ფეხით გაუვლია.

ქალებისათვის ოლიმპი-დაზე არა თუ მონაწილეობა, დასწრებაც აკრძალული იყო. სიკვდილი ემუქრებოდა ამ კანონის დამრღვევს. გადმოცემა მოგვითხრობს ერთ ბერძენი ქალის—ფერეიკას შესახებ, რომელიც არ შეუშინდა მკაცრ კანონს და ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობილი სტადიონზე შეიპარა. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, იგი თვითონ წვრთნიდა თურმე შეილს და სურდა, თავისი თვალით ეხილა მისი წარმატება. როდესაც გახარებული დედა შვილს წარმატებას ულოცავდა, იგი შეამჩნიეს და დააკავეს. მხოლოდ მას შემდეგ გადარჩა სასჯელს გაშვებული ქალი, როდესაც ცნობილი გახდა, რომ სხვადასხვა დროს მისი მამა, ქმარი, მთა ოლიმპიადის ჩემპიონები იყვნენ.



არათფერი იყო საბერძნეთში იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე ოლიმპიადაზე გამარჯვება. გამარჯვებულებს ოლიმპიადის ბოლო დღეს აჯილდოვებდნენ: ზეთისხილის ტოტებისაგან დაწნულ გვირგვინს ჩამოკიდებდნენ კისერზე; ხმაძალა აცხადებდნენ სახელს და დაბადების ადგილს; საუკეთესო მოქანდაკენი მარმარილოსაგან აქანდაკებდნენ გამარჯვებულის ბიუსტს. ამ ბიუსტს შემდეგ ზევისს ტაძარში დგამდნენ. გამარჯვებულს დიდი პატივით ხვდებოდნენ მშობლიურ მხარეში: ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან, თეატრში საუკეთესო ადგილს უთმობდნენ, პოეტები ქება-დიდებას ასხამდნენ, ლექსებით აღივსებდნენ მათ ძალასა და სიმარდეს.

თორმეტი საუკუნის განმავლობაში ტარდებოდა ოლიმპიური თამაშები. ამ ხნის მანძილზე სამასჯერ მოეწყო ეს შესანიშნავი ღონისძიება. შემდეგ, ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში, როდესაც საბერძნეთი უკვე რომის ქვეშევრდომი იყო, ერთ-ერთმა იმპერატორმა აკრძალა ოლიმპიური თამაშები.

გაიარა თხუთმეტმა საუკუნემ.

XIX საუკუნის დამლევს, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, საბერძნეთის ძველ კულტურასთან ერთად, ოლიმპიური თამაშების ისტორიაც გადაშალა კაცობრიობის წინაშე. წარმოიშვა იდეა ოლიმპიური თამაშების აღორძინებისა. და აი, ფრანგი პედაგოგის, სპორტის ენთუზიასტ პიერ დე კუბერტენის ინიციატივით ოლიმპიური თამაშები განახლებულ იქნა. 1896 წელს ათენში ჩატარდა თანამედროვე ციკლის პირველი ოლიმპიური თამაშები. შემდგომ წლებში ოლიმპიური თამაშები მორიგეობით იმართებოდა პარიზში, ლონდონში, ბერლინში, სან-ფრა-



ნცისკოში, ჰელსინკში და ბოლოს, 1956 წელს, მელბურნში.

საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებში პირველად 1952 წელს, ჰელსინკში მიიღეს მონაწილეობა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ზუსტად იმდენივე ქულა მოაგროვეს, რამდენიც ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა. მოჭიდავეებმა არსენ ბეკოკიშვილმა და დავით ციძაკურაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს, კალათბურთელებმა: ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯი-ვიამ—ვერცხლის მედლები.

კიდევ უფრო ნაყოფიერი გამოდგა საბჭოთა სპორტსმენებისათვის 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშები. აქ უკვე აშკარა გახდა ჩვენი სპორტის ხალხურობისა და მასიურობის შედეგი—საბჭოთა სპორტსმენებმა შორს გაუსწრეს ამერიკელებს.

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე ანთადრე საბერძნეთში, ოლიმპის მთაზე, ანთებენ ოლიმპიურ ჩირალდანს. მშვიდობის შეუქურასავით გადაუვლის იგი მთებს, ძველი ბერძნული ვალერით გადასერავს ზღვას, აპენინის ნახევარკუნძულს და რომის სტადიონზე მივა.

მეჯიბრის დამთავრებამდე, ანთებულ ჩირალდანთან, საპატიო საგულშაგოზე დადგებიან სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები. ბოლოს, მეჯიბრის დამთავრებისას, მას საზეიმოდ ჩააქრობენ ოლიმპიადის ჩემპიონები.

მილიონობით სპორტის მოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ რომის XVII ოლიმპიურ თამაშებს. ექვი არ არის, რომ საბჭოთა სპორტსმენები ახალი, დიდი გამარჯვებებით გაახარებენ სამშობლოს.

**ზ. ლაკუშლიანი,
ზ. ლეჟაშვილი.**



ორი ბრიყვი შეხვდა ერთმანეთს.
— ო, როგორ მინდა ცხვრის ფარა: ბატულს, ხორცსა და რძეს ოჯახში გამოვიყენებდი, — უთხრა ერთმა მეორეს.

— მე კი მგლის ხროვას ვინატრებდი, რომ შენი ცხვრები შეესანსლა... — მიუგო მეორემ.

არ მოეწონა ეს სიტყვები პირველს და ცემა დაუპირა მეორეს: — როგორ თუ ჩემი ცხვრის ფარას გაჟღებთა მონინდომეო. დიდხანს იდავეს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ გზაზე გამოჩენილ პირველსავე ადამიანს მოსამართლედ აირჩევდნენ. სულ მალე სახედარზე მჯდარი კაცი გამოჩნდა. სახედარს თაფლით სავსე ორი ქილა ჰქონდა გადაკიდებული.

— ჰოი, ადამიანო, შენ განსაჯე, ვინ არის ჩვენ ორში მართალი; მე ვინატრე ცხვრის ფარა, მან კი მგლების ხროვა, რომ ცხვრები გამინადგუროს, — მიმართა პირველმა ბრიყვმა ამ კაცს.

სახედარზე მჯდარი კაცი ჩამოქვეითდა, ქილები ჩამოიღო და თაფლს მიწაზე გადმოღვრა დაუწყყო.

— ასე დაიღვაროს ჩემი სისხლი ამ მიწაზე, თუ თქვენ ნამდვილად ბრიყვები არ იყოთ! — გაასამართლა ბრიყვმა ბრიყვები.



მოხაზი და მასწავლებელი

ერთმა ბატონმა თავის მსახურს უბრძანა, ბაღში ყვავილები დაეკრიფა და მეზობლისათვის მიერთმია. მსახურმა იცოდა, რომ ეს მეზობელი ძალზე ძუნწი იყო, ყვავილებს ისე გამოართმევდა, რომ მადლობასაც არ ეტყოდა. მსახურს სურდა ჰკუთნა ეს წყევლებინა ძუნწი მეზობლისათვის. მან მიუტანა ძუნწს ყვავილების თაიგული, დადო მის წინ და ისე გამობრუნდა, რომ ხმაც არ ამოუღია.

ძუნწი მეზობელი შეაშფოთა მსახურის მოქმედებამ, უკან მოუხმო მას და გაბრაზებულმა უთხრა:

— აი, დაჯექი აქ, ჩემს ადგილას,

და მე გასწავლი თუ როგორ უნდა თავაზიანად მოქცევა.

მსახური ჩამოჯდა მის ადგილზე. ძუნწი მეზობელი ჯერ ოთახიდან გავიდა, მერე ყვავილებით შემობრუნდა უკან, დადო თაიგული მსახურის წინ და მოახსენა:

— ეს ყვავილები ჩემმა ბატონმა მოგართვათ საჩუქრად. აიღეთ! მსახურმა გაიღიმა, ყვავილები აიღო, გაუწოდა ფული და მიუგო:

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, აიღეთ ხუთი ყურუში ამ ყვავილების საფასურად.

ბონიარი მესაათე

ქალაქის ერთ-ერთ განიერსა და ლამაზ ქუჩაზე მესაათემ სახელოსნო გახსნა, გარეთ აბრა გამოაკრა და ზედ დააწერა: «ყველაზე კარგი მესაათე ქალაქში». რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე ქუჩაზე, მეორე მესაათემაც სახელოსნო გახსნა და აბრაც გააკრა წარწერით: «ყველაზე საუკეთესო მესაათე მსოფლიოში». ისევ იმავე ქუჩაზე მესამე მესაათემაც გახსნა საათების შემკეთებელი სახელოსნო და ასეთი აბრა გამოაკრა: «ყველაზე საუკეთესო მესაათე ამ ქუჩაზე».



მოსხარხაბული სოფელი

მატარებლის კუბეში ორი გარინდებული კაცი იჯდა. ეტყობოდათ, მოწყენილობა აწუხებდათ. ერთი მათგანი ქალაქელი და განათლებული კაცი იყო, ხოლო მეორე კი სოფლელი, გაუნათლებელი. სოფელმა სიჩუმე დაარღვია და თანამგზავრს მიმართა:

— მოდი, თუ გინდა, გამოცანები ვთქვათ. იქნებ ცოტა გავერთოთ. შენ გადაიხდი ერთ გირვანქას*, თუ ამოხსნას ვერ შეძლებ. რადგან შენ ქალაქელი და განათლებული კაცი ხარ, მე



კი—ნახევარ გირვანქას, თუ ვერ ამოხსნი.

დაეთანხმა ქალაქელი. სოფელმა ასეთი გამოცანა თქვა:

— ერთ ფრინველს ორი ფეხი აქვს, როდესაც ფრინავს, და სამი ფეხი—როცა მიწაზე დადის. რა ფრინველია?

დიდხანს ფიქრობდა ქალაქელი, ბოლოს მიუგო:

— ვერა, ვერ გამოვიცანი. აჰა, აიღე ერთი გირვანქა, მაგრამ მითხარი მაინც, რა ფრინველია?

— მეც ასევე არ ვიცი. აჰა, შენ ნახევარი გირვანქა, — მიუგო სოფელელმა.

არაბულიდან თარგმნა **ო. ქაჯაიამ**
ნახ. **ე. ამბოკაძისა**

*) გირვანქა ფულის ერთეულია მდგინტეში.

ზატომ ვამბობთ ასე...



სამარცხვინო ბომბე გაკვრა

გადატანითი მნიშვნელობით საქვეყნოდ შერცხვენა. ცუდი ზრახვების გამოაშკარავება ან უღირსი საქციელისათვის ვისიმე საჯაროდ გაკვრაცხვა.

ძველად არსებობდა სასჯელის ერთი ფორმა: დამნაშავეს ბომბე ლურსმნებით მიაკრავდნენ; ეგრეთ წოდებულ „სამარცხვინო ბომბე“ ნიბმულს. შუა მოედანზე ხალხის წინაშე განაჩენს წაუკითხავდნენ ხოლმე სასჯელის ეს ფორმა მეფის რუსეთში მეფერამეტე საუკუნემდე არსებობდა. სამარცხვინო ბომბე გაკვრით იქნა, მაგალითად, დასჯილი დიდრუსი დემოკრატი ჩერნიშევსკი.

ცაცხლითა და მახვილით

ამ გამოთქმის აზრია მკაცრად და დაუნდობლად მოქმედება, განადგურება და დარბევა. ეს გამოთქმა ახალი არ არის, იგი ანტიკურ მწერლებს აქვთ ნახმარი. მას ძველად უმეტესად მკურნალები ხმარობდნენ: „მუწუკი ან მახვილით (დანით) უნდა ამოიკვეთოს, ან ცეცხლით ამოიწვასო“.

დღეს ამ გამოთქმას მხოლოდ და მხოლოდ რბევის, ძალდატანებისა და სისასტიკის შესატყვისად ხმარობენ.

ბოიკოტი

ვისიმე წინააღმდეგ პირის შეკვრა, რომელიმე პირთან, დაწესებულებასთან ურთიერთობის შეწყვეტა.

მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისში ცხოვრობდა ერთი მემამულე, გვარად ბოიკოტი. იგი დიდი მამულების მმართველი იყო და სასტიკად სდევნიდა ირლანდიელ მოიჯარადრეებს, დაუნდობლად ეპყრობოდა აგრეთვე თავის მუშებსაც. 1889 წელს მოიჯარადრეებმა ბოიკოტთან უფელგვარი კავშირი გაწყვიტეს. ბოიკოტი მიატოვეს აგრეთვე მისმა მუშებმაც. ბოიკოტის წინააღმდეგ შეკრეს პირი და მას არცერთ მალაზიაში საქონელი არ მიჰყიდეს. ეს ამბავი მთელ ოლქს მოედო და ხალხისაგან შერისხული ბოიკოტი იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა და ამერიკაში გაქცეულიყო.

«ნ» მაღლოზი, «ნ» ძალაქი

„საგუბერნიო ქალაქ „ნნ“-ის სასტუმროს წინ“...—ასე იწყება გოგოლის „მკვდარი სულელები“.

ძველ დროს, როდესაც რაიმე მიზეზის გამო არ სურდათ გვარის, ადგილის ან დროის დასახელება, სწერდნენ ორ ასოს—„ნნ“, შემდეგ უკვე ერთი „ნ“-ის ხმარება დაიწყეს.

სამამულო ომის დროს საინფორმაციო ცნობებში ხშირად ვკითხულობდით ხოლმე: „ნ“ ნაწილის... ან „ნ“ მიმართულებით...

ხშირად იხმარება აგრეთვე „ნ“ რაოდენობა, „ნ“ რიცხვი, ასეთ შემთხვევებში ასო „ნ“-ის ხმარება შემთხვევითი არ არის, იგი საერთაშორისო მოვლენაა. „ნნ“ შემოკლებული ლათინური სიტყვების პირველი ასოებია: ნორმა—სახელი და ნესციო—არ ვიცი.

ქენიგოქი...



ციმბირის უსაზღვრო სივრცეები დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. მაგრამ მრავალი წელი უნდა გასულიყო, ვიდრე ციმბირის კოლოსალური სიმდიდრე პრაქტიკულ გამოყენებას ნახავდა.

საბჭოთა სინამდვილემ ეს შორეული მხარეც შეცვალა და ციმბირის მიწამ ერთიმეორეზე გადაუშალა თავისი სიმდიდრე ადამიანს.

არ არსებობს წიაღისეული, რომელიც ციმბირში არ აღმოჩენილიყოს. უკანასკნელ ხანამდე ფიქრობდნენ, რომ აღმოსავლეთ ციმბირი ლარიბია რკინის მადნითო. ახლა გამოირკვა, რომ აქ 13 მილიარდი ტონა მარაგის საბადოებია. (საფრანგეთის მთელი მარაგი 12 მილიონ ტონას შეადგენს).

ჩვენ ქვეყანაში არ იყო ალმასი — მრეწველობის განვითარებისათვის მეტად საჭირო მინერალი. ახლა კი შორეულ ვილუეში აღმოჩენილია მსოფლიოში უდიდესი ალმასის საბადოები.

განსაკუთრებით მდიდარია ციმბირი ფერადი მადნეულით. სპილენძი და ოქრო, თუთია და ალუმინი, მანგანუმი და ნიკელი — ყველაფერია ციმბირის მიწაში. მაგრამ ეს აურაცხელი სიმდიდრე კიდევ არაფერია ციმბირის ერთ საუნჯესთან შედარებით. ტყის მთელი ოკეანეა ციმბირი. 39 მილიარდი კუბური მეტრით მეტი ხის მასალა შეუძლია მოგვცეს მან, ვიდრე მთელი ევროპის ქვეყნებმა ერთად.

მაგრამ ეს სიმდიდრე რომ სათანადოდ იქნას ათვისებული, საჭიროა უდიდესი ენერგეტიკა და ამიტომაც არის, რომ ციმბირის მდინარეებზე, რომლებიც ელექტროენერჯის კოლოსალურ მარაგს შეიცავენ, ელექტროსადგურების მთელი კასკადი უნდა შეიქმნას.

ამ სადგურების შესაძლებელი სიმძლავრე 800 მილიონი კილოვატსაათია. ეს მეტია, ვიდრე ამერიკის

შეერთებული შტატების, კანადის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მარაგი ერთად აღებული.

ელექტროენერჯის ძირითადი წყარო აქ მდინარეები: ენისეი და ანგარაა.

კრასნოიარსკიდან ორმოც კილომეტრზე ენისეი ვიწრო ხეობაში გადის. ბუნებას თითქოს სპეციალურად შეუქმნია ეს ადგილი ელექტროსადგურების ასაგებად და ადამიანმაც არ აუარა გვერდი ბუნების ამ საჩუქარს.

წინასწარი გამოანგარიშებით კრასნოიარსკის ელექტროსადგური 5 მილიონ კილოვატ ენერჯიას მოგვცემს. თითოეული მისი 10 ტურბინათაგანი მთელი დენპარკების სიმძლავრისა იქნება. მალე ბეტონის სქელი კედელი მტკიცედ ჩაქეტავს მდინარეს. მაგრამ რას იზამენ გემები? ენისეი ხომ ციმბირის ერთ-ერთი ძირითადი სამდინარო მაგისტრალია! ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, შემოვლით არხებს აშენებენ, მაგრამ მათი აგება დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, ამასთან, რაბებში გავლა გემებს საკმაოდ დიდ დროს ართმევს.

საბჭოთა ინჟინრებმა ეს პრობლემა ახლებურად და ძალზე საინტერესოდ გადაწყვიტეს. გემები რომ კაშხალს მიაღდგებიან, იღება რკინის დიდი კამერა — თავისებური ყუთი — და გემი შიგ შედის. ეს ყუთი ფოლადის 384 ბაგირით ბეტონის საყრდენებზეა ჩამოკიდებული. ჩაერთვება მძლავრი მექანიზმები და სულ რაღაც 10 წუთში 12 ათასი ტონა სიმძიმე (ასეთია გემის, წყლისა და აუზის წონა) ასი მეტრის სიმაღლეზე, წყალსაცავის დონეს გაუსწორდება.

შესანიშნავმა ბუნებრივმა პირობებმა ეს სადგური ძალზე ეკონომიური გახადა. მაგალითად, აქ 10-ჯერ ნაკლები მიწის სამუშაოები შესრულდება და 2-ჯერ ნაკლები რკინა-ბეტონი დაინარჯება, ვიდრე ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებზე.

სამას ოცდათვრამეტი მდინარე მიაგორებს თავის ტალღებს დიდებულ ბაიკალისაკენ. ტბიდან კი მხოლოდ ერთი მდინარე — ანგარა გამოდის. ანგარაზე აშენებულია ირკუტსკის ჰესი. ახლა გაბალებული მუშაობაა ბრატსკის ელსადგური და სამთავრებლად. მასზე

ძლიერი ძალის სადგურის მშენებლობა მსოფლიოში. იგი ორჯერ გადააჭარბებს ამერიკის განთქმულ „გრანდ-კულის“. ბეტონის კაშხალი შეაჩერებს ანგარის მქუხარე ტალღებს და წარმოქმნის უზარმაზარ ტბას — 5,5 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობისას.

ენისეიზე და ანგარაზე კიდევ რამდენიმე ელსადგურის აშენებაა გათვალისწინებული.

დაახლოებით მაინც თუ გავთვ წარმოდგენილი ციმბირის ჰიდროესურსების შესაძლებლობა, ალბათ გაგიკვირდებათ, რომ ციმბირის ენერგეტიკაში ჰიდროსადგურები მაინც მეორეხარისხოვანი საქმეა. რატომ?

თუ თქვენ დაკვირვებინახათ აღმოსავლეთ ციმბირის რუკას, დაინახავდით, რომ მისი დიდი ნაწილი შავად არის შეფერილი. ეს ქვანახშირის კოლოსალური აუზებია. ციმბირის ქვანახშირის აურაცხელი მარაგი მხოლოდ ასტრონომიული ციფრით შეიძლება გამოიხატოს: 6,8 ტრილიონი ტონა! ეს მთელი კაპიტალისტური სამყაროს მარაგზე მეტია. წარმოდგენისათვის შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა: მთელი კაცობრიობის მოთხოვნილება რომ ციმბირის ქვანახშირით კმაყოფილდებოდეს, იგი მაინც 1000 წელიწადს იკმარებდა.

მაგრამ საქმე მარტო მარაგში როდია. ეს ქვანახშირი შეუღარებლად იაფია. ციმბირის ქვანახშირის დიდი ნაწილი დედამიწის ზედაპირთან სულ ახლოს არის და მისი ამოღება შახტების გარეშე, პირდაპირ ღია მეთოდით ხდება. გადააცლიან ექსკავატორით მიწის თხელ ფენას და შემდეგ კი მიდი და თხარე ნახშირი!

ამ მეტად იაფი ქვანახშირის ბაზაზე აიგება დიდი თბოსადგურები, რომლებიც ჰიდროსადგურებზე იაფ ენერჯიას გამოიმუშავებენ. ერთ-ერთი ასეთი, ევროპაში უმძლავრესი თბოსადგური შენდება ნაზაროვკის რაიონში. მისი სიმძლავრე 1,2 მილიონ კილოვატს მიაღწევს. აქ ქვანახშირი პირდაპირ საბადოდან, ექსკავატორების საშუალებით წავა ლუმელებში.

ინჟინერი გ. ბასილია



მათი მოძებნა ღრმა თოვლის ქვეშ ადვილი როდი იყო. მაგრამ აი, გამოჩნდა მშველელი—სან-ბერნარის ძაღლები.

საიდან გაჩნდა გადასასვლელზე ამ ჯიშის ძაღლები, არავინ არ იცის, მხოლოდ ცნობილია, რომ სან-ბერნარის გადასასვლელზე ისინი უკვე ცხრა საუკუნის განმავლობაში არსებობენ.

კეთილი ადამიანი ძაღლსაც კი არ გააგდებს გარეთ და გარშემო ისეთი ძლიერი ქარბუქია, რომ კაცს წააქცევს ხოლმე, სწორედ მაშინ გზავნიან „სამუშაოზე“ გაწვრთნილ ძაღლებს.

სან-ბერნარები ეძებენ გზა-აბნეულ ან თოვლში დამარხულ მგზავრებს თავშესაფრიდან დაახლოებით 15—20 კილომეტრის რადიუსით.

ჭარბის სამუშაო

ბარბი კაცის სახელი არ გეგონოთ, ასე ეწოდება ძაღლს, რომლის წინაპრებმა დიდად გაითქვეს სახელი მთელს ევროპაში.

სურათზე თქვენ ხედავთ ბარბი მეთათს. ის შვიდი წლისაა, მისი წონა 83 კილოგრამია და თავის მეგობრებთან ერთად ცხოვრობს დიდი სან-ბერნარის გადასასვლელზე: იტალია — შვეიცარიის საზღვარზე. გადასასვლელის გარშემო აზიდულია დიდებული სანახაობის მქონე მწვერვალი—მონბლანი, აპენინის ალპები...

სან-ბერნარის გადასასვლელით სარგებლობდნენ კელტების ტომები, უფრო გვიან—რომაელები. ამ გზით დადიოდნენ მოგზაურები და ვაჭრები, მლოცველები და მონადირეები, აგრეთვე ლაშქართა დიდი შენაერთები. რკინიგზების გაყვანამდე გადასასვლელით სარგებლობდა წლიურად 25—30 ათასი კაცი.


ლეგენდა გადმოგვცემს, რომ XI საუკუნეში ერთმა ბერმა, ვინმე ბერნარმა, ორი თავშესაფარი ააშენა მთის გადასასვლელზე და მას შემდეგ გადასასვლელს ეწოდა მისი სახელი—დიდი სან-ბერნარისა და მცირე სან-ბერნარისა.

გადასასვლელზე თოვლი ზაფხულშიაც კი არ დნება, ივლის-აგვისტოშიც ყინვები და ქარბუქი იცის. თოვლცვენისა და ღნობის დროს გადასასვლელი ძალზე საშიშია მგზავრისათვის. თოვლის კორიატელს ან ზეავს ბევრჯერ დაუმარხავს ცოცხლად ამ გადასასვლელზე მიმავალი ადამიანი. დიდი ნაწილი იღუპებოდა, რადგან

სან-ბერნარის ძაღლები უზარმაზრები არიან, რბილ და გრძელბეწვიანები. მათ ღონიერი თათები და საუკეთესო ყნოსვა აქვთ. ამიტომაც, რომ ამ ჯიშის ძაღლი მსოფლიოში ყველაზე კარგ მეძებრადაა აღიარებული.

იმ დღეებში, როდესაც

ისინი ადამიანს გრძნობენ თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე! თუნდაც კაცი ორი-სამი მეტრის სისქე თოვლში იყოს ჩაფლული, ძაღლი თავისი ტანით ათბობს ადამიანს, კბილებით ნახად ამოძრავებს გაყინული ადამიანის კიდურებს და მანამდე ყეფს, ვიდრე დამზრალი გონზე არ მოვა.



უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში სან-ბერნარის ჯიშის ძაღლებმა ალპებში დაღუპვას გადაარჩინეს ორიათასამდე კაცი.

როგორც წესი, ყველაზე ძლიერ და გონიერ ძაღლებს სახელად ბარბის არქმევენ—იმ ბარბის პატივსაცემად, რომლის სახელი იცის შვეიცარიის თითოეულმა მოსწავლემ. ბარბი პირველმა ათი წლის მანძილზე მთებში სიცოცხლე შეუნარჩუნა ორმოც ადამიანს.

დღეს ალპებში რადიო წინასწარ აუწყებს მოსალოდნელ ამინდს, არსებობს სპეციალური დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობს თოვლიან მთებში დაკარგულ დაღუპულთა ძებნას, ამიტომ მხოლოდ გზის ჩამონგრევის დროს თუ მიმართავენ სან-ბერნარის ძაღლების დახმარებას.

ამ გადასასვლელით მიმავალი მრავალრიცხოვანი ტურისტები, როგორც წესი, აუცილებლად შეივლიან თავშესაფარში, რათა ერთხელ კიდევ ნახონ სან-ბერნარის კეთილშობილი ჯიშის უკანასკნელი წარმომადგენლები.

ბრ. ზარალიშვილი



სხველთა შრომის


„იარაღები“

კარგად არის ცნობილი, რომ ფრინველები, ჭიანჭველები, თავგები საკმაოდ რთულ ნაგებობებს აშენებენ. მჭრელი კბილები, მაგარი ნისკარტი და ბრჭყალები—აი, ერთადერთი ხელსაწყოები, რითაც ისინი სარგებლობენ. ზემოთ დასახელებული ორგანოები შეიძლება მივამსგავსოთ ბურღს, ნიჩაბს, ჩაქურჩს... მაგრამ ისინი მაინც არ არიან შრომის იარაღები—ესენი მხოლოდ და მხოლოდ ტყის ბინადართა „ხელებია“.

მაგრამ, აქვთ თუ არა, საერთოდ, ცხოველებს ნამდვილი შრომის იარაღები?

ავიღოთ მაგალითისათვის რვაფეხა. რვაფეხას ძალიან უყვარს მოლუსკები. იგი ადვილად შეჰყოფს ხოლმე ცხვირს პატარა მოლუსკის ნახვრეტში, კუნთებს მაკრატელივით მოკეცავს და საოცარი ოსტატობით ანცალკეებს ქორფა ხორცს ნიჟარისაგან. მაგრამ, როდესაც მოლუსკი დიდია, რვაფეხა ძალით ვერ ხსნის მას, ამიტომ საათობით ელოდება როდის გააღებს მოლუსკი პირს; მაშინ რვაფეხა განსაცვიფრებელი სიმარტით ქვას ჩაუღებს ლაყურებს შუა, შემდეგ კი აულელვებლად უსწორდება.

ასე რომ, რვაფეხასათვის ქვა მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც შრომის „იარაღია“.



რვაფეხა ერთადერთი ცხოველი არ არის, რომლისთვისაც ქვა შრომის საშუალებაა.

მაიმუნი კაპუცინი, მაგალითად, ქვას კაკლის გასატეხად იყენებს.

ერთ-ერთი ჯიშის ბზიკი—ამოფილა კი სიროში შესასვლელს მარწუხებში ჩაბლუჯული ქვით ტყეპნის.

მომწვანო პატარა ჩიტი, რომელსაც ინდოეთში მკერავს უწოდებენ, ერთი ძალზე თავისებური უნარით გამოირჩევა—იგი ნისკარტს მახათის მაგივრად ხმარობს: დაბრისებურად დაგრებს ფოთოლს, ნისკარტით ნახვრეტებს გაუკეთებს, შემდეგ კი მასში წინდაწინ დახვეულ ბამბის ძაფს გაატარებს ხოლმე. ამ პატარა აკვანში ჩიტი შემდეგ ბამბისა და ბუმბულისაგან ბუდეს ქსოვს.

მკერავთა ჯიშის ერთი წარმომადგენელი ევროპაშიაც ცხოვრობს. გაზაფხულზე, როდესაც მდინარეები მოდიდდებიან, ეს ჩიტი მის ინდოელ თანამოძმის მსგავსად, ჯერ ორ ფოთოლს მიაკერებს ერთმანეთზე, მერე მოდგება და ფოთლის შიგნით




ჩბილი მასლისაგან კერავს და ქსოვს ბუდეს.

ბუდეების ასაგებად კიდევ უფრო სრულყოფილი იარაღით სარგებლობენ ტროპიკული ჭიანჭველები. ეს იარაღი ცოცხალი არსებები არიან. დაჭურების წინ ამ ჭიანჭველების მატლები გამოყოფენ სითხეს, რომლისაგანაც ტუპრს ჰქსოვენ. ამ ქსელით ჭიანჭველები მცენარეთა ფოთლებს დიდ ბურთებად კერავენ. ეს მათი ბუდეა. საშუალო მკაცრი თანმიმდევრობით სრულდება: ჭიანჭველათა ერთი წყება ფოთლის კიდეს ბრჭყალებჩავლებული ექაჩება და კეცავს მას, ამასობაში სხვები ემზა-

დებიან—მიარბენინებენ მატლებს, მუცელზე პირს უჭერენ და აიძულებენ გამოყონ სითხე—ძაფი, რითაც ფოთოლს აწებებენ.

ჭიანჭველები მეურნე მწერები არიან. მათი პლანტაციები, ხოკოების ბაღები, „შინაურ ცხოველთა“ ჯოგები, სურსათით სავსე საწყობები თვით ადამიანის განცვიფრებასაც კი იწვევს.



არსებობს ჭიანჭველების ერთი ჯიშში—მეთაფლია ჭიანჭველები. ისინი მუხის წველისაგან იკვებებიან, ამუშავებენ და ტკბილ წვენს სპეციალური „ტიკებით“ სურსათის „საწყობებში“ ინახავენ.


როდესაც მკვლევარებმა პირველად ნახეს ეს საწყობები, მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ნახევრადმრგვალ თაღზე ბრჭყალებით ეკიდნენ ყურძნის მარცვლის სიმსხოცოცხალი არსებები, რომელთა ორგანიზმი თავლით იყო სავსე. გამოირკვა, რომ ესენი ჭიანჭველა-ტომრები არიან, ისინი მომარაგებული თავლით თავიანთ ჭიებს ჰკვებავენ. ხანდახან, ზამთრობით იქ დიდი ჭიანჭველებიც შეირბენენ ხოლმე საკვების მისაღებად.

მექსიკელები ამ ჭიანჭველებზე ნადირობენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ათასამდე ასეთი ჭიანჭველისაგან ნახევარ კილოგრამამდე თავლს იღებენ. როგორც ხედავთ, ზოგიერთი ცხოველი შრომის პროცესში ასე თუ ისე მაინც სარგებლობს პრიმიტიული „იარაღით“.

ადამიანი თვითონ ამზადებს და განუწყვეტლივ აუმჯობესებს თავის შრომის მრავალფეროვან იარაღებს. ხოლო ცხოველები მხოლოდ და მხოლოდ იმით სარგებლობენ, რასაც მზამზარეულად ბუნებაში იპოვნიან.

ბ. ბურჯანაძე

სიჩქარის კოლოფის მოდელი



ნახ. 1.

ეს მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სკოლაში, მანქანათმშენობის გაკვეთილზე. მისი საშუალებით თვალნათლივ შეიძლება დემონსტრირებულ იქნას ორსიჩქარიანი გადამცემის გადართვა.

ფოლადის თხელი ფირფიტებისაგან, რუსული „II“-ს მსგავსად შეკრული მოდელი (1) დგას ხის საყრდენზე (2). მოდელის მამოძრავებელ ლილვზე (3) მჭიდროდაა დამაგრებული ორი კბილანა, ხოლო თვით ლილვის ბოლოზე კი სახელურია მოთავსებული.


სამოძრავო ლილვზე (4) ჩამოცმულია დგიმთამწე (5). დგიმთამწეზე კი ორი კბილანაა დამაგრებული. ჭან-

ჭიკების ბოლოები აუცილებლად უნდა ჩადიოდეს ლილვის გასწვრივ ჩაჭრილ ღარში ისე, რომ დგიმთამწემ თავისუფლად იმოძრაოს აღნიშნული ღარის მიმართულებით, — წინ და უკან.

დგიმთამწეზე გაკეთებულ ამონაჩარხს (6) უნდა წამოეგოს გადართველი ბერკეტის (7) ჩანგალი. თვით ბერკეტის საბრუნებელი ლერძი მაგრდება კუთხურაზე (8).

მოდელის ზედა ჰორიზონტალურ ფირფიტაზე გაკეთებულია კრილი. სიჩქარის ბერკეტი ვადადგილების დროს ეყრდნობა აღნიშნული კრილის ბოლოებს და ამით გვამცნობს კბილანების მდგომარეობას. (ნახ. 2, მდგომარეობა 1 და 2). უქმი სვლის დროს სიჩქარის გადართველი ბერკეტი ვერტიკალურად დგება.


როგორც დიდი ისე პატარა კბილანები ისე უნდა იქნეს შერჩეული.



ნახ. 2.

რომ მათი დიამეტრები შესაბამისად ტოლი იყოს. მოდელის სიდიდე დამოკიდებულია კბილანების ზომაზე.

თუ გამზადებული კბილანების შერჩევა შეუძლებელი გახდება, ასეთ შემთხვევაში შეიძლება თვითონ დაამზადოთ იგი. ამისათვის უნდა აიღოთ თუნუქის მოგრძო ფირფიტა (გამოდგება კონსერვის კოლოფი), დაჰყოთ იგი განივი ხაზებით ტოლ მონაკვეთებად (ნახ. 3, ა.) და დაკეცოთ გარმონისებურად (ნახ. 3, ბ). შემდეგ ეს გაკეცილი ფირფიტა ფრთ-



ნახ. 3.

ხილად უნდა შემოაკრათ ხის რგოლს ისე, რომ უქანასკნელი კბილი წამოეგოს პირველს (ნახ. 3, გ). იქ, სადაც თუნუქის ფირფიტა მოხრილი ადგილებით ხის რგოლს ეხება, მიამაგრეთ წვრილი ლურსმნებით და კბილანაც მზად იქნება.

აღწერილი მოდელისათვის საჭიროა დამზადდეს ორი წყვილი კბილანა ისე, რომ დიდ კბილანებს პატარებთან შედარებით ორჯერ მეტი კბილანების რაოდენობა ჰქონდეს.

...რაგოლთან ერთად გააქათე
საოლისათვის საპირო ორი —
საში ნიჰთი...“
ნორჩი პიონერის საფეხურებიდან

რას უნდა ვიცოდეთ?

...რომ აბრეშუმის ქია თავის სიცოცხლეში 12 კილოგრამ თუთის ფოთოლს ჰკაშ. ეს მანა ქიის სხეულის წონას 4.600-ჯერ აღემატება.

... რომ აღამიანის ხალაპარაკო სიტყვათა მარაგი, განათლებისდა მიხედვით, 1000-დან 20.000-მდე მერყეობს. მაგრამ სიტყვების ხანგრძლივობა ამაზე გაცილებით მეტია; მაგალითად, მხოლოდ ელექტროტექნიკის დარგში 25.000-ზე მეტი სიტყვა არსებობს.

... რომ ჰადრაკის თამაში დღევანდელი სახით პირველად გამოჩნდა 1474 წელს ესპანეთში.

... რომ წელიწადის უოველ დროს, მთელი დღე-ღამის განმავლობაში, ყველაზე უფრო ცივა დილის ხუთ საათზე.

... რომ დიდ გერმანელ კომპოზიტორს — ბეთოვენს თავისი გვიანდელი ხიმფონიური ნაწარმოებები დაურუების გამო არასოდეს მოუსმენია.

... რომ ჰადრაკში, ჩვეულებრივი დამაშის გარდა, არსებობს კიდევ ორი სხვა სახის თამაშიც: 1. კოპერაციული ჰადრაკი, როცა თერთობითა და შვეებით აშაბათებენ ერთ რომელიმე მეფეს; 2.

უკუღმართი ჰადრაკი, როცა ძლიერი მხარე აიძულებს სუსტ მხარეს, დააშაბათოს ძლიერის მეფე.

... რომ მე-16 საუკუნემდე ჰადრაკში ყველაზე სუსტ ფიგურად ითვლებოდა დღევანდელი ლაზიერი, ხოლო კუ. დიაგონალებზე კი არ დასრიალებდა, არამედ ცხენივით ხტოდა დიაგონალის მესამე უჯრაზე.

... რომ ზღარბი ეკლებით იზადება. დაბადებისას ეკლები პატარა და თეთრი ფერისაა, თანაც ძალზე რბილი. უკვე მეორე დღეს ზღარბის ტანი 160.000 მუქი ფერის ეკლებით იფარება.

... რომ უოველი ვაშლის გულში უოველთვის 10 მარცვლია.

პოკლეკ

ყველაფერზე



ქვეყნის მდინარეებზე

2. 000 წლის მხატვრობა

ინდოეთში, მდინარე ვაგჰარის ხეობაში, ინგლისელმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს აჯანტის გამოქვაბულები, რომლებშიც საოცარი მხატვრობა იყო. 1849 წელს ინგლისური გაზეთები მკითხველებს აცნობდნენ: «რამდენიმე ბრიტანელი ჯარისკაცი მიიწვედა წინ. მალე გამოქვაბულის შიგნით ისინი აღმოჩნდნენ უკუნეთ სიბუნელეში. ვიწრო გამოქვაბულში ისინი ალღოთი მიიკვლევდნენ, გზას მანამ, სანამ თანდათან არ იგრძნეს, რომ მოძრაობა შედარებით ადვილი გახდა. ისინი მოხვდნენ ფართო დარბაზში ერთ-მა ჯარისკაცმა სინათლე აანთო. ჯარისკაცებმა ოდნავ განათებულ კედლებს შეხედეს, სუნთქვა შეეკრა და ადგილზევე გაქცევებულს დაემსგავსნენ. გამოქვაბულის დარბაზის კედლები მოხატული აღმოჩნდა საკვირველი სილამაზის მხატვრული სურათებით».

უცნაური სელაპი

როგორც ცნობილია, სელაპები წყალში ცხოვრობენ. მაგრამ პატარა სელაპი, რომელიც გიოტებორგის (შვეიცია) ზოოპარკში იმყოფება, ჯიუტად უარყოფს ამ უცნაურ ფაქტს.

ამოდ სტეპა წყალში შემოფოთებული დედა მისი, ამოდ ყვინთავს, დაცურავს, ეძახის თავის ნაშიერს...—მშობლის მუქარა, ვედრება, თუ პირადი მაგალითი სრულიად არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს პატარა სელაპზე. იგი კატეგორიულად ამბობს უარს ხმელეთის მიტოვებასა და წყალში ჩასვლაზე.

ეს არაჩვეულებრივი მოზარდი, ზოოპარკის დამფუძვლებელთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია.

ჰმირილის ჩეხიონება


«თევზივით უნოაო»—ეს გამოთქმა მთლად სწორი არ არის, თევზებიც გამოსცემენ თურმე სხვადასხვა ბგერებს. მას შემდეგ, რაც აკვალანგები იქნა გამოგონილი, ბევრმა ისტიოლოგმა თავისი ყურით მოისმინა თევზის ხმა.

ფრინველების, ქვეწარმავლებისა და მხეცების ხმა კი, რასაკვირველია, ყველას გაგვიგონიათ. ბევრს, ალბათ, ჰგონია, რომ ცხოველთა შორის ყველაზე დიდი ხმის პატრონი ღმრთობაა. მართლაც, ღმრთობა ისეთი დრიალი იცის, რომ გამოც-

დილ მონადირესაც კი დააფრთხობს ხოლმე, მაგრამ ღმრთობის ყვირილი კატის კნავილს ჰგავს ნიანგის ხმასთან შედარებით; ღმრთობის სიძლიერით ბეჭემოთიც სჯობნის.

შვამილი—„ბრალდებული“

ინდოეთის ერთ-ერთ შტატში ტყვეს უღმობელი ხანძარი გაუჩნდა. ცადაწვდენილი ცეცხლის ენები ერთბაშად რამდენიმე ადგილას აბრიალდა. ამოდ ეძებდნენ დამნაშავეს დიდი ხნის განმავლობაში. ბოლოს ერთმა ძველმა მეტყვემ თქვა, რომ ტყის გადაწვაში ბრალი პატარა სურნელოვან ყვავილს მიუძღვისო. გამოძიებულს მეტყვეს ნათქვამი პირველად ხუმრობა ეგონა. მაგრამ ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა მართლაც დაამტკიცეს მცენარის «დამნაშავეობა». თურმე, მისი ღერო, ფოთლები და ყვავილები იმდენად მდიდარია საწვავი ზეთებით, რომ შესაძლებელია ცხელ ამინდებში ისინი ააღდნენ და ტყეს ხანძარი წაუკიდონ.



აქლემების ღუელი

ზოგიერთ უცხო ქვეყანაში გავრცელებულია ისეთი სანახაობების ჩვენება, სადაც ცხოველების სისხლიანი ორთაბრძოლა იმართება. მაგალითად, ანატოლიაში (თურქეთი) ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იკრიბება, რათა ნახონ აქლემების ღუელი. აყლაყულა ცხოველები ერთმანეთს დაუზოგავად აწვებიან შუბლით და ცდილობენ ერთიმეორე მიწაზე დასცენ.

ყველაზე დაძაბული მომენტი მაშინ დგება, როცა გამოვლინდება გამარჯვებული — ზუზე მდგომი აქლემი, რომელსაც ძირს დანარცხებული მოწინააღმდეგე მაინც არ ნებდება. ცოტა ძალის დახარჯვა როდი უხდებათ მაყურებლებს, რათა გააშველონ გახელებული ღუელიანტები.

ეს ამბავი კორეაში მოხდა, ამასწინანდელი ომის დროს. ამერიკელთა მძლავრ ბომბდამშენთა მთელი ესკადრა რაღაც გამოუცნობმა ძალამ ჰაერში ჯერ ერთ ადგილას გააჩერა, შემდეგ კი თანდათან უკან-უკან დაახევინა. მფრინავებს ჯერ ეგონათ განმათავისუფლებ-




ლი არმიის რაღაც ახალ იარაღთან გვაქვს საქმეო, მაგრამ ეს არავითარი იარაღი არ იყო. სტრატოსფეროსა და ტროპოსფეროს შორის ხანდახან წარმოიქმნება კოლოსალური სიჩქარის ჰაერის დინება. შედარებისათვის საკმარისია მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი: როდესაც ამბობენ, 12-ბალაიანი ქარი (გრვიკალი) ჰქრისო—მაშინ ჰაერის სიჩქარე საათში 105 კილომეტრს უდრის. ჰაერის მდინარეების სიჩქარე კი ამაზე 7-ჯერ, ხან კი 8—9-ჯერ მეტია.

ჰაერის ეს გიგანტური ნაკადები ჯერ არ არის შესწავლილი.

კარტოფილის იუზილე

1896 წლის ნოემბერში ინგლისში მოეწყო კარტოფილის იუზილე იმის გამო, რომ სამასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კარტოფილი ევროპაში მოიყვანეს. პირველად კარტოფილი ევროპაში ინგლისელმა ფრენსის დეკმა ჩამოიტანა, მაგრამ სხვები ამტკიცებენ, რომ ევროპაში კარტოფილი ვალტერ ლელები დათესა 1596 წელსაო. მეთვრამეტე საუკუნეში, ევროპაში, კარტოფილი სულ მხოლოდ ერთ ჰექტარზე იყო დათესილი.



რედაქციაში შემოსული მასალები
ავტორებს არ უბრუნდებათ

ფაბი 2 მან.

„ПIONEER“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина, № 2, 1960. Тбилиси пр. Плетухова, 91. მისამართი: თბილისი, პლემხანოვის პრ. 91. ტელ 3-81-85.

უფ 00007. ტირ. 23.000. პირ. ფორმ. რაოდ. 4 1/2, ფიზ. ფორმ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 30/1-60 წ. სტამბის შტეკ. № 21 გამოცემა, შტეკ. № 21

საქ. კ. ც. კ-ის გამომცემლობის ა/კომბინატი „კომუნისტი“



საკრებულო



1. ქალაქი საქართველოში; 2. ქართველი პოეტი, პეფე; 3. მწვერვალი ავკასიონზე; 4. ნ. ბარათაშვილის


7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
6															23
5															24
4															25
3															26
2															27
1															

- ლეკსი; 5. კურორტი საქართველოში; 6. ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 7. კუთხე საქართველოში; 8. რაიონული ცენტრი საქართველოში; 9. ხალხური საკრავი; 10.

თავსატყვისი

მოცემულია ასანთის ღერებისაგან შედგენილი 9 უჯრა. საჭიროა მოაკლდეს 4 ღერი. ისე რომ დარჩეს 5 უჯრა. როგორ მოიქცევით?

გ. გველებიანი



შარალა

ჯავშანში არის ჩამჯდარი ხილი მრგვალი და ატარა, მთელი ზაფხული ბუჩქებში მწვანე ნაბადი ატარა.

შარადისათვის ამ სიტყვის ჩვენ მხოლოდ ფუძე გვჭირდება.

- გამოჩენილი ქართველი მომღერალი; 11. მდინარე საქართველოში; 12. ქალაქი საქართველოში; 13. მდინარე საქართველოში; 14. ქართული ხალხური სიმღერა; 15. რაქდენ გვეტაძის რომანი; 16. ქართული კინოფილმი; 17. მინერალური წყალი; 18. ქართველი კინომსახიობი ქალის გვარი; 19. ქართული არქიტექტურული ძეგლი თბილისში; 20. სახალხო გმირი; 21. დიდი ქართველი პოეტი; 22. ქალაქი საქართველოში; 23. კლდეში ნაკვეთი ქალაქი; 24. ქართველი ფეხბურთელი; 25. გამოჩენილი ქართველი გენერალი; 26. ქართული ბალეტი; 27. რაიონული ცენტრი საქართველოში.

აკროკროსგორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში მიიღებთ ლოზუნგს. შეადგინა **გ. მერებაშვილმა**.

გამოსატყვისი

1. ერთი ჯუჯა ხის შვილი ვარ, ხან ხეში ვარ, ხან თიხაში, ხან ტყავში და ხან ტიქაში.
2. მინდერიდან წამომიყვანეს. გამფურცქნეს და გამატყავეს, ქვით მომბეგვეს, წყლით მომხრისეს, ცეცხლის ალზე ამფარეს, იქიდან რომ ამიყვანეს, მერე სულ მთლად გამათავეს.

ა. წერეთელი

ერთ სამეჭროში 32 მუშა და ერთი მოლაპარაკეა. რა არის?

ბ. გველებიანი



ოთხთა „არძოლა“

ოთხი თანატოლი ბავშვი, შეკრულ თოკზე მარჯვენა ხელჩაკიდებული (დახედეთ ნახატს). ცდილობს მისწვდეს და თავისუფალი ხელით აილოს ქვა, რომელიც თითოეული მათგანისაგან თანაბარ მანძილზე დევს. ოთხეულიდან გამარჯვებული გამოდის ის, ვინც თავისკენ გადასძლევს მოწინააღმდეგეთ და თავისუფალი ხელით აიღებს ქვას. ეს თამაში შეიძლება მოეწყოს სამი, აგრეთვე ხუთი ან ექვსი ბავშვის მონაწილეობით.

კასუსები

საკრებულო

1. „დილა;“ 2. იორი; 3. რომი; 4. კამა; 5. ლომი; 6. ოინი; 7. დინი; 8. დანა; 9. მახე; 10. ილია; 11. ლიზა; 12. ზარი; 13. ხენა; 14. თავი; 15. თარი; 16. გორი.

თავსატყვისი

თვე	თვე	1	2	3	4	5	თვე
1	I		1	1	1	1/2	3 1/2
2	II	0		0	1	1/2	1 1/2
3	III	0	1		1	1/2	2 1/2
4	IV	0	0	0		0	0
5	V	1/2	1/2	1/2	1		3 1/2

საქალრავო ტურნირის შედეგების ცხრილი უნდა შედგეს ისე, როგორც ნახაზზე ნაჩვენებია.

გამოსატყვისი

ძმები ერთ ვაშლს ორად ყოფენ და მიირთმევენ, დანარჩენ 9 ვაშლს კი ასე ინაწილებენ: უფროსი ობუთ ვაშლს მიიღებს, უმცროსი კი — ოთხს.

შ. ამირანაშვილი

6. 146/57

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ზენი მშენებელი!!

